# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 12 აპრილი, 2013 წელი.

№68 (7195)




ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴅⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴎⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴋⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების მიზეზებს ხელმეორედ გამოიკვლევენ

## აქტიური „საია“ ③






## ⑧ სერგეი ლავროვი: 2008 წელს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას არ ვაპირებდით

## „თუ ოპოზიციური პოლიტიკური ძალა ქუჩაში აღმოჩნდება, რადიკალიზმი მერე ნახეთ“ ⑤

## „„ოცნებისგან“ განსხვავებით, მკვდრის გაცოცხლებას არ ვაპირებთ“ ②

## კომპანიასა და უნივერსიტეტს შორის გადებული ხიდი ⑦

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

## შეტყუებული და მოტყუებული ⑨



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..


PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№68. პარასკევი, 12 აპრილი, 2013 წელი.

მოლოდინი

# „ოცნებისგან“ განსხვავებით, მკვდრის გაცოცხლებას არ ვაპირებთ“

**„ნაციონალურ მოძრაობაში“ უთანხმოებაა საკითხზე — თუ რა სცენარით უნდა წარიმართოს 19 აპრილის აქცია. უმცირესობის ნაწილი მიიჩნევს, რომ აქციას — მხოლოდ პოლიტიკური სახე უნდა ჰქონდეს, სადაც ლიდერები პოლიტიკურ გზავნილებს გააკეთებენ და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს შეაფასებენ, ხოლო მეორე ნაწილი კულტურულ-შემეცნებითი აქციის ჩატარების მომხრეა.**

**ბა. ლიდერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აქცია სერიოზული სახის უნდა იყოს და არა კულტურულ-შემეცნებითი. საბოლოო ჯამში, პარტიის ლიდერები რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, არ ვიცი, მაგრამ აქციისთვის უკვე აქტიურად ვემზადებით“,** — აცხადებს უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი.

რა სახის იქნება 19 აპრილის აქცია, ამის გარკვევას for.ge შეეცადა, მაგრამ უმცირესობის ლიდერებმა მოგვიწოდეს, რომ მოვლენებს ნუ გავუსწრებთო.



როგორც for.ge-ს კულუარულ საუბარში, უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა განუცხადა, პარტიაში ერთგვარი გეგმა შედგა, რომ 19 აპრილს, რუსთაველის გამზირზე, რამდენიმე პავილიონი მოეწყობა, სადაც წარმოდგენილი იქნება — სიმღერის, ცეკვის, ხატვისა და ა.შ. წარმოდგენები.

**„მართალი გითხრათ, უმცირესობა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის თუ რა სახით იქნება 19 აპრილის აქცია, მაგრამ იმ გეგმის მიხედვით, რაც ამჟამად გვაქვს, აქცია პერფორმანსის ელემენტებსაც შეიცავს, რასაც პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელი არ ეთანხმე-**

როგორც for.ge-ს დეპუტატმა გოგა ხაჩიძემ განუცხადა, საზოგადოება აბსოლუტურად „განსხვავებულ“ და „დასამახსოვრებელ“ აქციას იხლავს. თუმცა, თუ რა იგულისხმება „განსხვავებულში“ ამას კანონმდებელი არ აკონკრეტებს.

„რომელი სიუპრიზი გინახავთ, რომლის წინასწარი გამჟღავნებაც მომხდარა?! სიუპრიზებს ყოფილი პრემიერიც დაგპირდათ, რასაც უნდა დაელოდოთ. ეს იქნება არა გასართობი რაღაც ღონისძიება, არამედ განსხვავებული აქცია და მიტინგი. „ოცნებისგან“ განსხვავებით, მკვდრის გაცოცხლებას, სალტოებზე გადასვლასა და ცეცხლმოკიდებული ტვირთებით თამაშს არ ვაპირებთ“, - აცხადებს ხაჩიძე, რომელმაც წინა ხელისუფლების პირობებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული პოლიციის ალლუმი გაგვახსენა.

**„ეს ალლუმი გახსოვთ? — აბსოლუტურად განსხვავებული, სანახაობრივი და დასამახსოვრებელი ხომ იყო? — ასეთ საინტერესო აქციას ელოდეთ! ეს აქცია, ერთგვარი ტესტია — თუ რამდენი ადამიანი მოვა აქციაზე. ვფიქრობ, რომ მიტინგზე ძალიან ბევრი ხალხი მოვა. ახალი მთავრობა ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს და თუ გვინდა ძლიერი ქვეყანა გქონდეს, ოპოზიციაც ძლიერი უნდა იყოს. ამიტომ, საზოგადოებამაც უნდა იაქტიუროს“,** — დასძინა ხაჩიძემ.

აღსანიშნავია, რომ უმცირესობის ლიდერების მსგავსად, საზოგადოებას „სიუპრიზებს“ ჰპირდება „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილიც, რომელიც 19 აპრილის შემდეგ ქვეყანაში სიტუაციის რადიკალურ ცვლილებას აანონსებს. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები რა „სიუპრიზებზე“ აპელირებენ, ეს 19 აპრილის აქციაზე გამოჩნდება, მაგრამ მედიის წარმომადგენლებმა ერთ-ერთი სიუპრიზი გასულ სასესიო კვირას იხილეს. კერძოდ, მედიას უმცირესობის პიარმა დაუანონსა, რომ ქუთაისში, პარლამენტის წინ, 16:00 საათზე, უმცირესობა განცხადებას გააკეთებდა. საკანონმდებლო ორგანოს შენობის გარეთ გასულ მედიას კი, „სიუპრიზის“ სახით, „ფლეშმობი“ დახვდა, სადაც თეთრ მაისურებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები 19 აპრილის პიარ-აქციის ინსცენირებას ახდენდნენ. მართალია, უმცირესობამ თავი მოიკატუნა, რომ ამ „სიუპრიზის“ შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ მათ მიერ დაგეგმილი „ფლეშმობის“ ჩატარება საფრთხის ქვეშ იმ აქციამ დააყენა, რომელიც პარალელურ რეჟიმში, პარლამენტის წინ მიმდინარეობდა, — „დროზე, დაიწყონ!“ — მოუწოდებდნენ „ფლეშმობის“ ორგანიზატორებს ოპოზიციონერები.

**თეონა მანაგაძე**

წიგნები — უფასოდ!

# გამომცემლები მონებივით ექცეოდნენ ავტორებს



**განათლების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის ინფორმაციით, გამომცემლები ავტორებისთვის ანაზღაურების მიცემას არ აპირებენ. იგი იმედოვნებს, რომ გამომცემლები ისევე დაიცავენ კონტრაქტს, როგორც ამას განათლების სამინისტრო აკეთებს.**

— განათლების სამინისტრო მთლიანად მოქმედებს იმ კონტრაქტის ფარგლებში, რომელიც ჩვენ დაგვხვდა. არსებობს სამართლებრივი მხარე, რომელშიც ბოლომდე ვიცავთ კონტრაქტს. გამომცემლებს, რომლებსაც ანგარიშზე დაუჯდებათ მილიონი, იმედი მაქვს, რომ ისინი ისე არ მოექცევიან ავტორებს, როგორც მე გავიგე. შევხვდი ავტორებს. შოკირებული ვიყავი იმ გროშებით, რამდენსაც თურმე ავტორები ხშირ შემთხვევაში იღებდნენ გამომცემელისგან. ეს პოლიტიკა შეიცვლება და სამუშაოს, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეუკვეთავს, ამაში ავტორებს ექნებათ უფრო ღირსეული ანაზღაურება. გამომცემელთან მიმართებაშიც ასეთივე ვითარებაა. არიან გამომცემლები, რომლებიც იაზრებენ ვითარებას, იაზრებენ იმას, რომ ფაქტობრივად, ჩვეულებრივი მოსახლეობის გაღატაკების პოლიტიკა საქართველოში დამთავრდა. ჩვენ გადავდივართ თანამშრომლობის რეჟიმში ამ გამომცემლებთან. არა მარტო დაიწყება დიალოგი, არამედ, ეს დიალოგი მიმდინარეობდა ბოლო 5 თვის განმავლობაში. ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის პირველი წუთიდან მე ღია განცხადება გავაკეთე, რომ სახელმძღვანელოების ფასი დაიკლებდა. სექტემბრის თვე მშობლებისთვის გახდა ეკონომიკური კატასტროფის თვე და ეს უნდა დასრულდეს, — განაცხადა მარგველაშვილმა.

მინისტრის თქმით, გამომცემლებთან სამინისტრო მუშაობას გააგრძელებს.

# რამ გამოიწვია ხანძარი „საბაში“

**სავაჭრო ცენტრ „საბაში“ კრიმინალისტების მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ ცეცხლი ელექტროენერგიას არ გამოუწვევია, — ამის შესახებ სავაჭრო ცენტრის მფლობელმა პაატა კაჭარავამ განაცხადა. მისი თქმით, კრიმინალისტებმა დაასრულეს ცენტრში მუშაობა და მათგან დასკვნას ელოდება.**

მისივე თქმით, არის თუ არა ვინმე ეჭვმიტანილი, ჯერჯერობით, გამოძიებას მისთვის არ უთქვამს.

— რეალურად, 2000 ლარი ძალიან ცოტაა იმ ზარალისთვის რაც მათ მიიღეს. დაზარალებულები ვინც არიან, შექმნეს საინიციატივო ჯგუფი. ისინი ხელისუფლებისგან ითხოვენ დახმარებას. დაახლოებით 151 კაცს მერია 2000 ლარით დაეხმარა, 164 კაცს კი სალარო აპარატები უფასოდ დაურიგდათ. ყველაზე მეტად დაზარალებული თავად სავაჭრო ცენტრია, თუმცა ჩვენ მათ დავეხმარეთ იმაში, რომ თავისუფალი ფართები უფასოდ მივეცით და არაფერს ვახდევინებთ. მოვაჭრეების ზარალმა დაახლოებით 1 300 000 ლარი შეადგინა, ხოლო „საბა“ 3 800 000 ლარით დაზარალდა.

დამწვარი შენობა სულ დავანგრიეთ. მიდის ნაგვის გატანა. „კინო საქართველოსთან“ კი მიმდინარეობს ახალი სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, რომლის ფართებსაც ძირითადად დაზარალებულები დაიკავებენ, — აღნიშნა პაატა კაჭარავამ.

**ინტერპრესი**

დიდი ეროვნული პრობლემა

# მიწა საქონელი არ არის, მაღაზიაში გამოფინო!..

**მიწის ბაზრის არსებულ მდგომარეობაზე კვლევა ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ცენტრმა წარმოადგინა. კვლევა, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროგრამის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით განხორციელდა.**

კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში მიწის ბაზრის მხოლოდ დაახლოებით 30 პროცენტია აღრიცხული და, სახელმწიფოსა და დონორების ძალისხმევის მიუხედავად, ქვეყანაში ჯერ კიდევ რთულია იმის გარკვევა, თუ რა მოცულობის მიწა ეკუთვნის კერძო სექტორს, სახელმწიფოს და რამდენია ე.წ. რუხ ზონაში, ანუ გაურკვეველ მფლობელობაში.

ნეტგაზეთს ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ცენტრის ექსპერტის ლაშა დოლიძის აზრი მოაქვს, რომ საქართველოში ამ კუთხით რეფორმა თავიდანვე არასწორად განხორციელდა. 1992 წელს ხელისუფლებამ მცირე ზომის მიწები დაარიგა, რამაც დიდი მიწის ნაკვეთების უკიდურესად დანაწევრება გამოიწვია და 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის თანახმად, ნაკვეთების 98 პროცენტი 5 ჰექტარზე ნაკლები ზომისაა, რაც მის კომერციალიზაციას ხელს უშლის:

„გარდა ამისა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა ის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ფლობს მიწას და ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ აქვს. ეს საკითხი ამა თუ იმ ფორმით უნდა მოგვარდეს. იმ შემთხვევაში, თუ ამას კერძო სექტორს მივანდობთ და განვაცხადებთ, რომ თავად მან, ვისაც აქვს ეს ნაკვეთი, უნდა მოაგვაროს ეს თავისი ძალებით, მაშინ მოხდება ის, რომ ის მოიტანს ინფორმაციას ფაქტობრივი მფლობელობის შესახებ, ფაქტობრივი მფლობელობა კი ხშირად მეტია, ვიდრე მფლობელს რეალურად ეკუთვნის და გამოვა ისე, რომ მთელი მიწის ფონდი შეიძლება არ იყოს საკმარისი იმისთვის, რომ ყველა დავაკმაყოფილოთ“, — აცხადებს ნეტგაზეთთან საუბარში ლაშა დოლიძე. მისი თქმით, აუცილებელია კერძო საკუთრება სახელმწიფოს საკუთრებას გაემიჯნოს და სახელმწიფომ კუთვნილ ტერიტორიაზე საკუთარი საპრივატიზაციო პოლიტიკა აწარმოოს.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ სახელმწიფომ ერთიანი სტრატეგია უნდა შეიმუშაოს, ხოლო პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას, ძველი დოკუმენტაციის თავმოყრაა, მაგრამ პრობლემაა რეგისტრაციის ხარჯები, მოსახლეობის დიდ ნაწილს მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯის გაწევა არ შეუძლია.

იმის გამო, რომ მოსახლეობას მიწები საკუთრებაში არ აქვს, პრობლემები შეექმნა სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც ხვნათესვის პროგრამის დაწყებამდე.

სწორედ ამ განუკითხაობის ერთ-ერთი შედეგია, რომ ინდოელი ფერმერების მიერ საქართველოში მიწების შესყიდვამ მასობრივი ხასიათი შეიძინა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, რომ მიწების პრივატიზაციის საკითხი ეკონომიკის სამინისტროს პრეროგატივაა და ამ თემაზე კომენტარს ვერ გააკეთებენ. ეკონომიკის სამინისტროში კი მხოლოდ იმ ინფორმაციას ფლობენ, რომ ინდოელები კერძო ფერმერებიდან ყიდულობენ მიწებს და სამინისტრო ამ საკითხში ჩარევას არ გეგმავს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვის თაობაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწები უნდა იყიდებოდეს. სულ ერთია, კერძო მესაკუთრე ყიდის თუ სახელმწიფო, ეს ნიშნავს, რომ ამ რესურსს უფრო ეფექტიანად გამოიყენებს ახალი მეპატრონე, სახელმწიფოსთვის კი ეს ყოველთვის უფრო მომგებიანია. თუ რესურსი ამუშავდება, ეს ნიშნავს, რომ ვიღაც მეტ გადასახადებს გადაიხდის საქართველოს ბიუჯეტში და, შესაბამისად, საქართველოს



სახელმწიფო შეძლებს უფრო მეტი რაიმეს, მათ შორის, თუნდაც სოციალური ვალდებულებების დაფინანსებასო. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში მიწის ან ნებისმიერი რესურსის გადასვლა არ ნიშნავს, რომ მიწა სახელმწიფოს იურისდიქციიდან გადის. ამიტომ, ვისაც ასეთი შიშები აქვს, უნდა გაეცნოს სახელმწიფოსა და ეკონომიკის საფუძვლებსო.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები კი ფიქრობენ, რომ“, საკითხი ის კი არაა, უცხოელებზე უნდა გაიყიდოს თუ არა მიწები, არამედ ზოგადად უნდა გაიყიდოს თუ სათემო საკუთრება უნდა იყოს.

წინა მთავრობა მიიჩნევდა, რომ ბაზარი თავად მოაწესრიგებდა ყველაფერს. შედეგად, დღეს უკონტროლობაა მიწის გაყიდვის და, საერთოდ, მიწების რეგისტრაციისა და განკარგვის საკითხში. კანონდებლობაც გაუაზრებელი და უსისტემოა და მეტისმეტად გამარტივებულ წარმოდგენებს ეყრდნობა. ასეთი მიდგომა, როგორც მინიმუმ, არაეფექტიანია სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისით.

გია ჟორჟოლიანის აზრით, მიწის საკითხი უკავშირდება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმას, ძალიან მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული მიწის საკუთრების შესაძლო ფორმები: სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო და საერთო სასოფლო მიწები. რეფორმის შედეგად სოფელი ჩამოყალიბდება, როგორც იურიდიული პირი, რომელსაც ექნება საკუთარი ტერიტორია და ეს მიწები არ გასხვისდება.

მისი თქმით, პარლამენტში მზადდება სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც მიწის მფლობელობისა და განკარგვის საკითხებს სისტემაში მოაქცევს.

ასე რომ, სწორედ ყოფილი მმართველი ძალის გაუაზრებელმა პოლიტიკამ შექმნა სირთულეები მიწის საკითხში, მმართველი ძალა მიწას განიხილავდა, როგორც მხოლოდ წარმოების საშუალებას, როგორც დანადგარს, რომელიც შეგიძლია მაღაზიაში იყიდო. მიწა პროდუქტი და საქონელი არ არის, ეს ის ადგილია, რომელიც ქართველი კაცისთვის უწინარესად ქვეყნის განცდასთან, მოქალაქეობის განცდასთან არის დაკავშირებულიო.

**ნატა ნიბლაძე**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ეს საეჭვო არასამთავროზოები**



# ატეხილი „საია“

**მაშ ასე, ა.წ. 28 მარტს ბათუმში „საიას“ ნასვამმა(!) მძღოლმა დაარღვია მოძრაობის წესები, შექმნა საავარიო სიტუაცია და აგდებულად ელაპარაკა სამოქალაქო ფორმაში მყოფ პოლიციის სამმართველოს უფროსს, რომლის მანქანასაც კინაღამ დაეჯახა.** მიუხედავად იმისა, რომ სამმართველოს უფროსმა იგი გააფრთხილა თუ ვინც იყო, „საიას“ მძღოლს ბოდიში არ მოუხდია და არც გამომწვევად ლაპარაკი შეუწყვეტია. უფროს პოლიციელსაც სათანადოდ უპასუხია და ფიზიკური ძალის გამოყენებით წესების დამრღვევის წაყვანა მოუნდომებია პოლიციის განყოფილებაში, ამ ქიჩავ-ქიჩავში მძღოლს სახელო ჩამორღვევია მცირედ.

ეს არის და ეს მთელი ისტორია, რასაც მოყვა, მაგრამ რა მოყვა! მოყვა კი „საიას“ მხრიდან საკუთარი მძღოლის„უფლებების დაცვა“, ფაქტობრივად კი — სამარცხვინო და პროვოკაციული ქმედებები (ამაზე ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ), რითიც მან თავისივე ხელით ჩამოიხსნა დემოკრატიისთვის მებრძოლის ნიღაბი და ყველამ დავინახეთ ამ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის ნამდვილი სახე, თუ ვის ინტერესებს ემსახურებოდა იგი ადრე და ვის სამსახურშია ახლაც ჩამდგარი. ერთია, როცა შენით ხვდები, თუ ვინ ვინ არის (ეს ამ ინციდენტამდეც იცოდა ბევრმა), მაგრამ სულ სხვაა, როცა თავად, თავისი ქმედებით კიდევ ერთხელ გიდასტურებს შენს მიხვედრილობას.

ახლა ვიკითხოთ, თუ როგორ მოიქცეოდა სააკაშვილის დროინდელი პოლიცია ანალოგიურ სიტუაციაში. ნასვამ მძღოლს, რომელმაც დაარღვია მოძრაობის წესები და თან, პოლიციის უფროსსაც „აუხტა“,აუცილებლად ჩატენიდნენ მანქანაში, პოლიციაში კარგადაც „დაზელავდნენ“, ოპერატიულად გაასამართლებდნენ პოლიცielისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით და 400-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად (რაც „საიას“ მძღოლს დააკისრეს) ციხეში ამოაყოფინებდნენ თავს რამდენიმე წლით!

მეორე მაგალითი. როგორ იმოქმედებდა პოლიცია ე.წ. დემოკრატიულ ქვეყანაში, მაგ. ამერიკაში. პირველი, რასაც პოლიცია გააკეთებდა, ასეთ მძღოლს ხელებზე დაადებდა ბორკილებს (გამომწვევად ქცევის მიუხედავად!), სულ მცირე ერთი დღით ან ბევრად მეტით მას ჩასვამდნენ ციხეში (აქ უკვე ქცევას გააჩნია!), გადაახდევინებდნენ უზარმაზარ ჯარიმას და ერთი წლით ჩამოართმევდნენ მართვის უფლებას (კიდევ სხვა, შედარებით წვრილმანი სანქციებიც იქნებოდა მიღებული). პოლიციელს (პოლიციელებს) რა? არც არაფერი, შეიძლება მადლობა გამოეცხადებინათ!

ეს მაგალითები ძველი და ახალი პოლიციის (მერაბიშვილის და ღარიბაშვილის) ან ახალი და ამერიკულის შესადარებლად არ მომიყვანია, ეს მხოლოდ „საიას“ ახლანდელი და ძველი ქმედებების შესადარებლად მჭირდება, ასეთი შედარებითი ანალიზი აუცილებელია.

ძალიან თავს კი დებენ ობიექტურობაზე „ახალგაზრდა იურისტები“, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმის ცხრა წლის მანძილზე ერთხელ მაინც თუ უცდიათ ასეთი აჟიოტაჟის ატეხვა გაცილებით მძიმე ინციდენტზე, როდესაც სრულიად უდანაშაულო ხალხს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მოგონილი ბრალდებით პირდაპირ ციხეში უკრავდნენ ხოლმე თავს. ახლა კი რას ვხედავთ, „საიამ“ იშიშვლა „დემოკრატიის“ მახვილი და დაცვის ნაცვლად (რა ჭირს დასაცავი!), შეტევაზე გადადის, ღარიბაშვილის უწყებას უტევს, თან გაიძახიან: ჩვენ მხარე არა ვართ, ჩვენ სიმართლეს ვემსახურებითო. ერთი მაგალითი მაინც გაგვახსენონ ძველი ან ახალი დროიდან ანალოგიური მსახურების!

ერთი სიტყვით, ისე ატყდა „საია“, რომ მართლა ატეხა „ჭიქაში ქარიშხალი“ — ბრიფინგები, ინტერვიუები ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში, სხვადასხვა ტელეარხებზე, საპროტესტო აქციები, პროკურატურაში სარჩელის შეტანა და დიპლომატიური კორპუსის საქმის კურსში ჩაყენება, აქაოდა ადამიანის უფლებები ირღვევა საქართველოში, დროზე გვიშველეთ, პოლიცია თავის უფლებას ამეტებსო. და ამას აკეთებს ორგანიზაცია, რომლის ყოვლად სამარცხვინო, ანტიჰუმანური და ანტიეროვნული პოზიცია 26 მაისთან, პოლიტპატიმრებთან თუ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მიმართებაში ყველასათვის ცნობილია. რატომ ხდება ასე? უფრო სწორად, **რატომ აძლევს „საია“ თავის თავს ამდენის უფლებას? პასუხი მარტივია — იმიტომ, რომ გასდის! და რომ გასდის, იმიტომაც აქვს თავში ავარდნილი!**

ბათუმის ინციდენტის შემდეგ განვითარებული მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ „საიას“ მხრიდან აქ უბრალო მიკერძოებასთან ან საკუთარი „მუნდირის“ ღირსების დაცვასთან არ გვაქვს საქმე (რასაც სავსებით მართებულად აკეთებს შსს), აქ აშკარად შორსგამიზნული ჩანაფიქრის ნიშნები იკვეთება, რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ.

მას შემდეგ, რაც მართვის მოწმობები შემოიღეს, ჯერ არავის მოსწრებია მსოფლიოში, რომ დაცვის მხარეს იქით მოეთხოვოს პოლიციელისთვის — ერთი თქვენი მართვის მოწმობა წარმოგვიდგინეთო! ეს „საიას“ ახალი მიგნებაა, თანაც როგორი, პირველივე ცდაზე ათიანში გაარტყა — ყველას გასაოცრად, მთავარ პოლიციელს მართლაც არ ჰქონია მართვის მოწმობა! ასეა, სიმართლის და ლიბერასტ-პედერასტების დამცველებთან „ჩიტებს მოაქვთ ამბავი“ საჭირო დროს!

ახლა თავში ავარდნაზეც ვთქვათ. მძღოლის ნასვამობაზე შემოწმების (და დადასტურების!) შემდეგ „საია“ იქით ითხოვს პოლიციის სამმართველოს უფროსის ნარკოლოგიურ შემოწმებას(!), თუმცა, მშვენივრად მოეხსენება, რომ შს მინისტრმა ღარიბაშვილმა თავისი ინიციატივით, დანიშვნისთანავე, თავადაც გაიარა ნარკოშემოწმება და ყველა თანამდებობის პირიც გაატარა. „საიას“ ნამდვილად გასდის, მაგრამ იმას ვერ ხვდება (არადა, ყველა ამჩნევს!), რომ თავისი მოთხოვნებით, აქციებით, მიმართვებით (დიპკორპუსს) და ფარული (!) შეხვედრებით (ამაზე ოდნავ ქვემოთ) მას მართლაც წურწურით გასდის გრანტების შესანარჩუნებლად(!) დაღვრილი ოფლი, ამ გრანტებისგან მწვანედ შეფერილი!

ამგვარი მოთხოვნის „გამბედაობა“ „საიას“ აქვს, მაგრამ მას არასოდეს გახსენებია სააკაშვილისთვის შეეხსენებინა დიდი ხნის წინანდელი დანაპირების შესრულება — საკუთარი თავის და მინისტრ-დეპუტატების ნარკოშემოწმება, არ გახსენებია არც მაშინ, როცა იგი პატრიარქის სავარძელში ჩასკუპებული პრეზიდენტის აცაბაცა თვალებს უყურებდა! „საიას“ ასეთ შერჩევით ქცევას ქართულად ტუტუცობა ჰქვია!

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ შორსგამიზნულ ჩანაფიქრს. თუ არა ამგვარ ჩანაფიქრზე, მაშინ აბა, სხვა რაზე უნდა მიუთითებდეს „საიას“ ხელმძღვანელის კახა კოჟორიძის ფარული შეხვედრები „ნაცების“ ლიდერებთან. მხოლოდ ერთ, დადასტურებულ და თავად კოჟორიძის მიერ აღიარებულ შეხვედრაზე მოგახსენებთ, რომელიც ბათუმის ინციდენტიდან მეორე დღეს, 29 მარტს შედგა „ნაცების“ პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან, ამჟამადაც პარლამენტის ნაცუმცირესობის ლიდერთან დავით ბაქრაძესთან სასტუმრო „რედისონის“ ბარში.

საქმიანი და არასაიდუმლო შეხვედრები, როგორც წესი, ოფისებში, სამუშაო ოთახებში იმართება დაუფარავად, მაგრამ ვინაიდან ბაქრაძემ და კოჟორიძემ კარგად იციან, რომ გამორიცხული არ არის, მათი საუბარი ახლაც ისევე ისმინებოდეს, როგორც ეს ვანო „გისმენ“ მერაბიშვილის დროს იყო, ამიტომაც მომავალ სამოქმედო გეგმებზე საუბარი მათ ავი თვალისგან და ყურისგან დაცულ ადგილას არჩიეს. სამწუხაროდ „საიასთვის“, ამ ოხერმა თვალმა მაინც ჩაავლო ე.წ. არასამთავრობოს ლიდერის ე.წ. ნაცსამთავრობოს ლიდერთან გამართულ 3-საათიან ჭუკჭუკს ქვეყნის „საჭირბოროტო საკითხებზე“! „ამ (ბათუმის) ინციდენტზე საუბარი არ ყოფილა ბაქრაძესთან შეხვედრის მიზანი“ — წარბშეუხრელად აცხადებს კოჟორიძე, მაგრამ ამ საკენკს ისევ თავისნაირ ახალგაზრდა, მაგრამ ჯერ გაურყვნელ იურისტებს თუ დაუყრის! ქვეყნის ბედზე მაფიქრალნი სასაუბროდ ინკოგნიტოდ ბარში არ ხვდებიან! ორი აზრი არ არის, სჯა-ბაასი,უეჭველად, ბევრ სხვა საკითხზეც იქნებოდა „რედისონში“!

მინდა, გამოვეხმაურო ზოგიერთის მიერ ტელევიზიით გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ისინი, ბათუმის ინციდენტის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს მიესალმებიან, რომ ახლავე ჯობია ბუზის სპილოდ წარმოჩენა, რათა მომავალში უფრო უარესისგან ვიყოთ დაზღვეულებიო.

იხ. 4 გვ.

**ფეისბუქიდან**

# წერტილოვანი ფრაზები

● ექვს მილიარდად კაცი შეფასდა, ათ მილიარდად ანეკდოტები.

● 19 აპრილამდე სურსათ-სანოვაგე უნდა მოვიმარაგო. მალაზიაში რო გავიდე, „იმათ“ არ მიმათვალონ.

● იმ საზოგადოებას, სადაც ბურჭულაძე „მწერალია“, ბავშვებზე წიგნების უფასოდ მიცემა რომ ეწყინოს, რა გასაკვირია.

● 19 აპრილის აქციის არსი რა არის, თუ ვინმე გამარკვევს, სულ მცირე, მადლობელი დავრჩები და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.



● ალბათ, ადამიანთა დიდმა ჯგუფმა ყურადღებით უსმინა ბრიფინგს ბატონ ივანიშვილთან... იქნებ მე რამე ვერ გავიგე, მაგრამ ძალიან მაინტერესებს თქვენგან — რაიმე ფორმით იყო თუ არა შეკითხვები დასმული ჟურნალისტების მხრიდან, ან იყო თუ არა რამე პასუხი იმ პრობლემებზე, რასაც ამდენი ხანია ვყვირივართ და ვეძახით ხალხის პრობლემებს?.. როგორც მე გავიგე, საერთოდ არ იყო საუბარი საზოგადოების სოციალურ პრობლემებზე, არ იყო საუბარი იმ საკითხებზე, რაც დღეს უამრავ ადამიანს აღელვებს. ვეჭვობ, რომ პრემიერი საინფორმაციო ვაკუუმშია.

● დღეს ამბობდა პრემიერ-მინისტრი, საქართველოში მთლად ისე არ არის საქმე, რომ ბავშვები შიმშილით იხოცებოდნენო... შიმშილითაც იხოცებიან, ბატონო ბიძინა და უსახსრობითაც... ამ 1 წელიწადში, იცით, რამდენი ბავშვის სიკვდილი ვნახეთ, რომლისთვისაც თანხის შეგროვება ვერ მოხერხდა?! — ბევრის, ბატონო ბიძინა, ბევრის და ისევ გრძელდება ეს უბედურება.. უსახსრობით და შიმშილით ავადდებიან კიდეც... (ლეიკემია არ ემართებათ ალბათ, მაგრამ უამრავი დაავადება უვითარდებათ, არასრულფასოვანი კვების გამო).. შეუძლებელია, მხოლოდ ქველმოქმედებით და მხოლოდ, ისედაც გაწამებული ადამიანების ხელფასებით გადარჩეს ყველა!!! ფონდი შექმენით, სასწრაფოდ, რომელიც გადაუდებელი და სასიკვდილოდ საშიში დაავადებების დაფინანსებას იკისრებს მცირეწლოვანებისთვის და ასევე, სოციალურად დაუცველი ნებისმიერი ადამიანისთვის... სახელმწიფო ფონდი შეიქმნას სარეზერვო, სადაზღვევო, რა ვიცი, ნებისმიერი სახელწოდებით, რომ უფულობის გამო არ იხოცებოდნენ ადამიანები!!!

● საქართველოს მოქალაქეების იმ უმრავლესობამ, რომელმაც 1 ოქტომბერს „გადაირჩია“ ნაციონალური მოძრაობა, გონებას უნდა მოუხმოს და არანაირი შანსი არ უნდა მისცეს ნაცმოძრაობას დესტაბილიზაციის შექმნის, განურჩევლად სტატუსისა თუ 9 წლის მანძილზე „დაჩაგრულობის“ კოეფიციენტისა, არავინ არ უნდა გავიდეს და დადგეს 19-ში ნაცმოძრაობის აქციის თუნდაც საყურებლად!

● თუთბერიძე პროფესორი, წკრიალაშვილი — ვარსკვლავი, მარინა ბერიძე — კულტურის საზომი, ბუბა კიკაბიძე — კუმირი, გივი სიხარულიძე — ქალაქის სიამაყე, ქეთა გაბიანი — ინტელექტუალი... ავოეე, შენ დაუკა...

● მონანიება რომ ვნახე პირველად, დოქსოპულოს პერსონაჟი ისტორიულ რეალობად ვერ აღვიქვი და სულ მეგონა, რომ თენგიზ აბულაძემ ეს პერსონაჟი გროტესკად იმ დროის გაშარჟებად გამოიყენა, რომ ტრაგედია ტრაგიკომედიის ჟანრში წარმოეჩინა. თურმე სადა „ვბანაობთ“, წინ რამდენი დოქსოპულო და მთელი ერა დოქსოპულოების გველოდა. ღმერთო, გაანათლე თენგიზ აბულაძის სული...

● კობა კობალაძე: პირდაპირ მითხრა კოჟორიძემ დღეს, თქვენი პრობლემა ჩვენს ინტერესთა ხედვაში არ ჯდებაო. დონორებისგან პირდაპირი მითითება გვაქვს — პრიორიტეტულად განვიხილოთ და შევისწავლოთ ყოფილი ჩინოვნიკების საქმეებიო! გულისხმობდა იმათ, ვინც დღეს დაკავებულები არიან, ან მიმდინარეობს გამოძიება. მე იქ მარტო არ ვყოფილვარ და ეს სიტყვები სხვებმაც კარგად მოისმინეს. რა გამოდის? ვინც ძველმა ხელისუფლებამ გათელა, ცხოვრება, კარიერა და ოჯახები დაუნგრია, მათი საქმეები თურმე არ შედის „საია“-ს ინტერესთა სფეროში იმიტომ, რომ დონორი სხვა რამეს ავალებს? ახალგაზრდა ბიჭი ხარ, სანამ რაღაც პოზიციას გამოხატავ, გადახედე ჯერ შენს აზრს, ბიოგრაფიას, ხედვას და იქიდან გამომდინარე ისაუბრე... ციდან ხომ არ ხარ ჩამოფრენილი? ამ ქვეყნის მოქალაქე ხარ. ჩვენც არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვართ. ათას ქარცეცხლში გამოვიარეთ, მაგრამ პოზების დაჭერა და ზევიდან ქვევით ცქერა არ გვახასიათებს. აი, ეს არის დღეს ჩვენი აღშფოთების და უკმაყოფილების მიზეზი.

**გია გაბრიჭიძე**

**ინფორმაცია**

## „ბორჯომი“ რუსულ ბაზარს დაუბრუნდა

**ქართულ მინერალურ წყალ „ბორჯომს“ რუსულ ბაზარზე დაბრუნების უფლება მისცეს. ამის შესახებ რუსულ მედიასთან საუბარში „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელმა გენადი ონიშენკომ განაცხადა.**

**მისივე თქმით, „ბორჯომი“ რუსეთის პროდუქციის რეესტრში დარეგისტრირებულია და შესაბამისად, ბაზარზეც დაშვებულია.**

**როგორც ონიშენკომ განმარტა, ქართული მინერალური წყლის დაბრუნება რუსულ ბაზარზე დაგეგმილზე მოგვიანებით შედგა, რადგან, „ბორჯომის“ პირველი პარტია, რომელიც ქართულმა მხარემ წარადგინა, დაწუნებული იქნა რუსი სპეციალისტების მიერ.**

**„ბორჯომი“ მესამე ქართული კომპანია გახდა, რომელსაც რუსეთის ბაზარზე დაბრუნების უფლება ოფიციალურად მიეცა. მანამდე პროცედურები წარმატებით „ქინძმარაული მარანმა“ და „დუგლაძის ღვინის სახლმა“ გაიარა. „ბორჯომი“ რუსულ ბაზარზე 2006 წელს აკრძალეს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ეს საეჭვო არასამთავრობოები

(მესამე გვერდიდან)

მართალია, ნებისმიერ უარყოფით მოვლენას (ბუნებაში თუ საზოგადოებაში) მცირედი დადებითი მხარეც აქვს, მაგრამ ყველაფერი ხომ შედარებითია და ყველაფერში ხომ პრიორიტეტები არსებობს. ამიტომ, ბუზის სპილოდ წარმოჩენა არასოდეს და არსად არ არის გამართლებული (ობიექტურობა თითქმის იმდენჯერვე მცირდება, რამდენჯერაც სპილო აღემატება ბუზს), მით უფრო, **დღევანდელ საქართველოში,სადაც ამდენი პრობლემაა დაგროვილი (სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური), ყურადღების მეასეხარისხოვან წვრილმანებზე გადატანა დანაშაულის ტოლფას სიბეცედ მიმაჩნია!**

„საიას“, ამ სამართლებრივად მომზადებული ორგანიზაციის მიერ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების აყოლიება და ბათუმის ინციდენტზე ხალხის ყურადღების შეგნებულად გადატანა, ერთი ვაიუშველებელის ატეხვა და ყველა საშუალებით ამ ძალზედ უმნიშვნელო ინციდენტისთვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მინიჭების მცდელობა, არ შეიძლება ნორმალურმა კაცმა სხვაგვარად გაიგო, თუ არა, როგორც მიზანმიმართული, ვიღაცის ინტერესებზე მორგებული პროვოკაციული საქციელი. ვის ვის და, იურიდიული განათლების მქონე პირებს კარგად მოეხსენებათ, თუ რა შემთხვევებში იყენებენ მთავრიდან მეორეხარისხოვანზე გადართვის მეთოდს.

თუ ვის წისქვილზე ასხამს ამ აჟიოტაჟით წყალს „საიას“ თავმჯდომარე კოჟორიძე, ძნელი მისახვედრი არ არის, და ჩვენი მიხვედრილობა მისმა ბაქრაძესთან ფარულმა შეხვედრამაც დაადასტურა. ეს შეხვედრა აღარ მოგვეჩვენება იმდენად გასაკვირვად, თუ გვეცოდინება, რომ კოჟორიძე „მამალ“ ნაციონალ გიგი თევზაძესთანაც თანამშრომლობს ილიას უნივერსიტეტში 2009 წლიდან (27 წლის ახალგაზრდებს კი, ერთგულებაზე „ნაცების“ მკაცრი ტესტის ჩაბარების გარეშე ილიას უნივერსიტეტში ლექტორებად არ იღებენ!).

**რაც ამ თითიდან გამოწოვილ „პრობლემაზე“ „საიამ“, მედიამ, ტელევიზიამ, ხელისუფლებამაც დრო დახარჯა, იმის მეასედი არ იხარჯება ქართველი ერის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტაზე,** როგორებიცაა: მიწების, წყლების, ტყეების, წიაღისეული სიმდიდრეების გასხვისება უცხოელებზე, თურქეთის არნახული ექსპანსია ბათუმში ჩვენივე ხელისუფლების – ძველის და ახლის ხელშეწყობით(!) წარმოებული, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ დაუფარავი პრეტენზიის გაცხადება ბათუმზე, მესხეთელი თურქების ჩამოსახლება, რეგიონული ენების თაობაზე ხელშეკრულების რატიფიკაცია (ზოგ ჭკუათმყოფელ მინისტრს ამის საპირწონედ ხომ ევროპაში სამგზავრო ვიზების გამარტივება მიაჩნია!), რომ აღარაფერი ვთქვათ ათასობით გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეზე (ცხინვალის ომი, 26 მაისი, 7 ნოემბერი, ციხის ბუნტი, ციხეებში წამება, გახმაურებული მკვლელობები, ლაფანყურის ტრაგედია, კერძო საკუთრების მიტაცება, პოლიტპატიმრები და ბევრი სხვა), რომელთა სასამართლო განხილვა-განჩინების გამოტანას არა და არ ადგება საშველი აგერ ექვსი თვეა! ამ მიმართულებით რომ ხარჯავდეს „საია“ თავის ენერგიას, მაშინ აღარავის მოუტრიალდებოდა ენა მის გასაკრიტიკებლად.

„საიას“ (და სხვებისაც) შემყურე, აუცილებელია ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებზეც ვთქვათ ზოგადად. ყველა მსგავსი ორგანიზაცია ე.წ.-ია, რადგანაც არასამთავრობოდ(!) წოდებული ორგანიზაცია არ უნდა ფინანსდებოდეს არც საკუთარი და არც – უცხო სახელმწიფოს მთავრობისგან. იმის თქმაც კი ძნელია, თუ რომელი ვარიანტია უარესი! ჩვენთან ორივე ნაირსახეობა იყო გავრცელებული (ფარულად, ცხადია) და, შეიძლება ითქვას, 1 ოქტომბრის შემდეგაც, ანუ ორხელისუფლებიანობის პირობებშიც, დაახლოებით, იგივე გრძელდება – ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლე-

# ატეხილი „საია“

ბულ, სააკაშვილის მაღალჩინოსნების მიერ დაარსებულ „არასამთავრობოებს“ სახელისუფლებო (ნაცების ფრთის) დაფინანსება აქვთ (ზოგს უშუალოდ პრეზიდენტის ფონდიდან და ზოგსაც – ძველი მთავრობის წევრებისგან). ამერიკის რესპუბლიკური პარტია დააფინანსებს შაშკინის მიერ წლების წინათ ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას, თუ „ნაცმოძრაობა“ – კაპანაძისას, სულერთია, დიდი სხვაობა არ არის, და არც ერთ მსგავს ორგანიზაციას არ შეიძლება არასამთავრობო ეწოდოს.




ამ ორგანიზაციების დაფინანსების თაობაზე მოპოვებული მასალების გამოქვეყნება (ძალზე იშვიათად) ერთ ალიაქოთს იწვევს არასამთავრობოებში – როგორ შეიძლება კონფიდენციური ფინანსური დოკუმენტაციის ჩვენს უნებართვოდ გამოქვეყნებაო. რა გამოდის, **დეპუტატები და სხვა მაღალჩინოსნები ვალდებულნი არიან დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას პირადი შემოსავლების (ხელფასი, ბიზნესიდან და სხვ.) და ოჯახური შემადგენლობის თაობაზე, არასამთავრობოებს კი არც დაფინანსების წყაროების გაცხადება ევალებათ და არც – მიღებული თანხების ოდენობის და ხარჯვის?!** ეს მაგონებს ჩვენს ერთ-ერთ კონსტიტუციურ უფლებას – ჩვენ შეგვიძლია პარლამენტი და პრეზიდენტიც გადავირჩიოთ ვადამდელი არჩევნებით, მაგრამ არ შეგვიძლია ანალოგიური ვადამდელი არჩევნებით გადავირჩიოთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და მოსამართლეები, თუნდაც მთელმა მოსახლეობამ მოითხოვოს ეს. განა ასე არ იყო რეგიონებში, როცა მოსახლეობის კანონიერი მოთხოვნავადამდელი არჩევნების შესახებ, ზეწოლად შეფასდა „ნაცების“ და შორეული დასავლეთის მხრიდანაც, და „ოცნებამაც“ იმ ხალხის მხარე კი არ დაიჭირა, ვისი წყალობითაც გაიმარჯვა არჩევნებში, არამედ, – პრეზიდენტი ოქტომბრამდე და ადგილობრივი ორგანოებიც 2014 წლამდე უნდა დარჩნენ ადგილებზეო, გამოგვიცხადა ხმამაღლა, თუმცა, კარგად იცოდა, რომ ერთიც გაყალბებული არჩევნებით იყო მოსული სათავეში და მეორენიც – მერია-საკრებულო-გამგეობებში. **ხალხის „ზეწოლად“ შეფასებულ სამართლიან მოთხოვნებზე ყველა აყაყანდა, მაგრამ ამერიკის „რეკომენდაციად“ წოდებულ აშკარა ზეწოლაზე ყველას ხმა ჩააკმენდინეს!** ყველა ყველაფერსაა მიხვედრილი, მაგრამ, ვფიქრობ, ზედმეტი მაინც არ იქნება, თუ ვოლტერის ცნობილ გამონათქვამს მოვიყვან: **„იმისათვის, რომ გაიგოთ, თუ ვინ ბატონობს თქვენზე, გამოარკვიეთ, ვისი გაკრიტიკება გეკრძალებათ“!**

ახალი ხელისუფლების გასაგონად, იმათთვის, ვინც არასამთავრობოებიდან არაა გამოსული, მინდა, ვთქვა, რომ ეს ე.წ. არასამთავრობოები ყველა იმ ხელისუფლების თავის ტკივილია, რომელი ხელისუფლებაც ამ არასამთავრობო ორგანიზაციების მომგონს(!) და დამფინანსებელს არ აწყობს. **ახალგაზრდებით დაკომპლექტებული და უცხოეთის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების უმრავლესობა, პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, განსაკუთრებით კი ჩვენისთანა პატარა, სუსტი და ღარიბი ქვეყნისთვის. ასეთი ქვეყნის შვილების მანქურთებად ქცევა ბევრად ადვილია და ეს პროცესი ახალგაზრდა ასაკიდან იწყება, რადგანაც ზრდასრული, ჩამოყალიბებული მამულიშვილის მანქურთად გარდაქმნა თითქმის შეუძლებელია. მანქურთების გამომყვანებმა კარგად იციან აღმოსავლური სიბრძნე: „თუ მტრის დამარცხება გსურს – აღზარდე მისი ბავშვები“, ანუ ქვეყნის დაპყრობა, გავლენის სფეროში მოქცევა თუ გსურს, ამ ქვეყნის შვილები, ახალგაზრდები უნდა აღზარდო, თავიც მოუქონო, ამერიკაშიც ატარო სასეირნოდ, სატრეინინგოდ და, რაღა თქმა უნდა, სათანადო ტესტირებით სწორი სელექციის საწარმოებლად, რათა ისეთი კლონები გამოიყვანო, როგორებიც არიან რამიშვილი, შაშკინი, თარხნიშვილი... აუ, ყველას რა ჩამოთვლის, მაშინ ნახევარი პარლამენტი და სხვაც ბევრი უნდა მივაყოლო! სწორედ ასეთი აღზრდის კერებია: „კმარა“, „თავისუფლების ინსტიტუტი“, „საია“ და ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია. განა ვიცით, რამდენი „არასამთავრობო“ ორგანიზაციაა საქართველოში, მათი დაფინანსების წყაროები და რაში იხარჯება უცხოეთიდან შემოდინებული უზარმაზარი თანხები? არ არის ამის ცოდნა აუცილებელი?!**

ჩვენ კი არა, თურმე, რუსეთსაც არ სცოდნია ამის თაობაზე და მან სულ ახლახან დაადგინა, რომ მის ტერიტორიაზე **654(!)** მარტო უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს, რომლებმაც **ბოლო ოთხ თვეში ერთი მილიარდი(!) დოლარი მიიღეს, ანუ საშუალოდ 400 000 დოლარი თვეში თითოეულმა** ორგანიზაციამ! ჩვენთან? არა მგონია, ნაკლებს იღებდნენ! ამ ორგანიზაციებზე კონტროლის დაწესების (და არა აკრძალვის!) მიზნით, **რუსეთის დუმამ 2012 წლის ნოემბერში მიიღო კანონი, რომელიც უცხოეთიდან დაფინანსებულ და პოლიტიკური საქმიანობით დაკავებულ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას ავალდებულებს გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია, როგორც „უცხოეთის აგენტმა“, და ყოველწლიურად წარადგინოს ანგარიში მიღებული თანხების ოდენობის და ხარჯვის თაობაზე** (ანალოგიური კანონი, უფრო მკაცრი, შეერთებულ შტატებში 1938(!) წლიდან ყოფილა ძალაში და მსგავს ორგანიზაციებს იუსტიციის სამინისტროს შპიონაჟთან მებრძოლი კონტრდაზვერვის სამსახური აკონტროლებს! საინტერესოა ისიც, რომ თავად რუსეთი მხოლოდ ორად ორ არასამთავრობო ორგანიზაციას აფინანსებს – საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებში). რამდენ რამეს აეხდებოდა ფარდა ჩვენთანაც, პარლამენტმა რომ მიიღოს ეს კანონი. მიბაძონ „ოცნებამ“ და „ნაცებმა“ რუსეთს, უკაცრავად, ამერიკას(!) და დაამკვიდრონ ჩვენთანაც ეს სასარგებლო წესი, რასაც ინგლისურად „Trust but verify“ ჰქვია (ენდე, მაგრამ შეამოწმე). გვეტყვის ვინმე რამეს?!

მანქურთების გამოსაყვანი კონვეიერი უწყვეტ რეჟიმში მუშაობს, სტრატეგია ხანგრძლივ პერიოდზე აქვთ გათვლილი სელექციონერებს და, ამიტომაც,ხელისუფლებაში მოყვანილი(!) პარტიის უკან, თადარიგში ყოველთვის დგას ერთი ან რამდენიმე პარტია, მოძრაობა თუ ორგანიზაცია. ისევე, როგორც მაგალითად, **„ნაცმოძრაობის“ შემცვლელად აბსოლუტურად იდენტური მსოფლმხედველობის „რესპუბლიკური“ პარტია იყო გამწესებული, „რესპუბლიკურ“ პარტიასაც ჰყავდა (და ჰყავს!) თავისი დუბლიორი! ეჭვი არავის შეეპაროს ამაში, ეს ჩვეულებრივი ტაქტიკური სვლებია „სტრატეგიულ პარტნიორებად“ წოდებული ჩვენი „მეგობრებისა“.** აღმოსავლური სიბრძნის მიმდევრებს, ამერიკელ სელექციონერებს ავიწყდებათ საკუთარი პრეზიდენტის, ჯეფერსონის სინანულით ნათქვამი სიტყვები: **„სული მიშფოთავს ჩემი ქვეყნის გამო, როდესაც გავიფიქრებ, რომ ღმერთი სამართლიანია“!** და ამას იგი ამბობდა 200 წლის წინათ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რას იტყოდა ამერიკის მსოფლიო პოლიტიკის შემხედვარე ჯეფერსონი დღეს, როცა მსოფლიო ჟანდარმის როლში იხილავდა ამერიკას!

ხელისუფლებაში გამძვრალი და „არასამთავრობოებში“ განავარდებული, სავარძლებს და მწვანეებს დახარბებული, ეროვნულ ფესვებს მოწყვეტილი ქართველების კატეგორიას კი რუსეთის იმპერიის რეფორმატორად მიჩნეული საზოგადო მოღვაწის, პრემიერ-მინისტრ სტოლიპინის ბრძნულ სიტყვებს შევახსენებ (ვინ იცის, ეგებ გაიაზრონ კიდეც!): **„ერი, რომელსაც ეროვნული თვითშეგნება არ გააჩნია, ნაკელია, რაზედაც სხვა ხალხები აღმოცენდებიან“!**

**იაკობ ლეჟავა,**
6 აპრილი, 2013

◎ პოზიცია

# საქმე მხოლოდ სპეციალისტებმა უნდა აკეთონ

**ტელევიზიით ყველამ ვნახეთ, რა დღეშიც ჩააგდო აბობოქრებულმა ზღვამ ბათუმის ახალი კეთილმოწყობილი ბულვარი თუ ქობულეთის სანაპირო, რასაც, სამწუხაროდ და ჩემდა გასაკვირად, სპეციალისტთა საქმიანი გამოხმაურება არ მოჰყოლია.**

ეს მით უფრო გასაკვირ-დასაფიქრებელი, რომ დიდი შტორმი, რომელიც ხანგამოშვებით დაემუქრება ხოლმე ხმელეთს, მარტო აჭარას კი არა, მთელი ჩვენი სანაპიროს პრობლემაა, ბათუმიდან რუსეთის საზღვაო საზღვრამდე 185 საზღვაო მილის სიგრძეზე რომაა გადაჭიმული და სერიოზულ მოვლა-პატრონობასაც საჭიროებს.

არადა, იყო დრო, როდესაც ამ უალრესად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხს სათანადო კი არა, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ყურადღებაც ექცეოდა. შექმნილი იყო ერთობ კვალიფიციური და კომპეტენტური სპეციალისტებით დაკომპლექტებული „საქნაპირდაცვის“ ორგანიზაცია აწ განსვენებული ღვაწლმოსილი მშენებლის, აკადემიკოს არჩილ კიკნაძის ხელმძღვანელობით.

**როგორ შეიძლება, რომ ასეთი გამოცდილი კოლექტივი წლების მანძილზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, თამაშგარე მდგომარეობაში იყოს?**

მასზე ასეთი დაბეჯითებით და დარწმუნებით იმიტომ ვლაპარაკობ, რომ 1986-87 წლებში, როდესაც ფოთში პირველ ხელმძღვანელად ვმუშაობდი, სწორედ მისი დაჟინებული მოთხოვნით და მეცადინეობით გაკეთდა ამ ქალაქის 2,5 კილომეტრი სიგრძის სანაპირო ზოლი შესაბამისი დამცავი ნაგებობებით, რომელიც დღემდე იცავს იქაურობას ზღვის შემოტევისგან.

**და ეს გაკეთდა არა ამჟამინდელივით, ვინმეს ხუშტურების გათვალისწინებით, არამედ ნაპირდაცვის ცნობილი სპეციალისტების პროექტებითა და რეკომენდაციებით. შედეგიც კარგია, მაგრამ მასაც სჭირდება რემონტი და ყურადღება.**

ასე რომ, აჭარაში ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების საკითხებიც სპეციალისტთა გადასაწყვეტია და ხარჯთაღრიცხვაც მათი შესადგენია.

და რაც მთავარია, ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში მარტო აჭარის კი არა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების აქტიური ჩართვაა საჭირო ბატონი ბიძინა ივანიშვილის მითითებითა და ხელმძღვანელობით.

**საქმისადმი ამგვარი მიდგომით კი ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი უთუოდ სასიკეთოდ გადაწყდება.**

**პეტრე ბერაია,**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ◉ დაპირისპირება

*ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლისთანავე მის წინააღმდეგ ხელისუფლებამ მძლავრი შეტევა დაიწყო. პირველი ნაბიჯი ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა გახდა. ამას მოჰყვა „ქართუ ბანკზე“ შეტევა, როგორც მისი საინკასაციო მანქანიდან რამდენიმე მილიონის ჩამორთმევა, ასევე ბანკის კრედიტორებისთვის ქონების ჩამორთმევა და აუქციონის წესით გაყიდვა, რაც დღესაც გრძელდება და რამაც „ქართუ ბანკს“ უკვე 180 მილიონ ლარამდე ზარალი მიაყენა.*

*ამის შემდეგ განხორციელდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც უშუალოდ ბიძინა ივანიშვილსა და მის კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მოქმედების თავისუფლებას უზღუდავს. ხელისუფლების ბოლო ნაბიჯი იყო კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების მონიტორინგის სამსახურის ჩამოყალიბება, უკვე სახელგანთქმული ნათია მოგელაძის ხელმძღვანელობით.*

*ბუნებრივია ჩნდება კითხვა, მზად იყო ბიძინა ივანიშვილი ამ ყველაფრისთვის მაშინ, როდესაც პოლიტიკაში მოსვლის შესახებ გააკეთა განცხადება? ვინაიდან ეს ყველაფერი რეალურად სააკაშვილის ხელისუფლების ნამდვილ სახეს გვიჩვენებს და ვხედავთ, რისი გამკეთებელია წყობიდან გამოსული ჩვენი პრეზიდენტი, შესაძლოა ისიც ვივარაუდოთ, რომ მისი ქმედებების მთელი ეს ციკლი ბიძინა ივანიშვილს კარგად ჰქონდა გათვლილი, რადგან ფაქტია, საქართველოს ხელისუფლების ბოლოდროინდელ ქმედებებს საერთაშორისო ასპარეზზე ცალსახად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.*

*შესაძლოა განვიხილოთ მეორე ვარიანტიც, იქნებ სააკაშვილი მის მიერ გატარებული სადამსჯელო ოპერაციებით ივანიშვილი ქუჩაში გამოყვანას ცდილობს, რათა შემდეგ უფრო რადიკალური ქმედებებით გაუსწორდეს მას.*

*ამ ვერსიებთან დაკავშირებით და იმაზე, თუ როგორია დასავლეთის დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, presage.tv-ს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ესაუბრება.*

# „თუ ოპოზიციური პოლიტიკური ძალა ქუჩაში აღმოჩნდება, რადიკალიზმი მერე ნახეთ“



— „თქვენს მიერ საკითხის ასე დაყენებას შეიძლება ასეთი ფორმა მივცეთ, — ხომ არ აკეთებს ბიძინა ივანიშვილი იმის პროვოცირებას, რომ ხელისუფლებამ დასაშვები შეცდომები ბოლომდე დაუშვას?

**— ან, იქნებ, ეს არის სააკაშვილის მცდელობა, რომ ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები ქუჩაში გამოიყვანოს?**

— ორთაბრძოლის დროს ორივე მხარე თავის მიზანს ისახავს. მიზანი ხშირად ერთია — გამარჯვება, მაგრამ სტრატეგიას ორივე მხარე სახავს. შეიძლება ამ სტრატეგიებში გადაკვეთის წერტილები იყოს, ანუ მეტოქისგან ელოდე იმ ქცევას, რომელზედაც შემდეგ მას ასე ვთქვათ, წამოიკიდებ. მაგრამ აქ რამდენიმე მომენტი ართულებს ყველაფერს. თქვენს მიერ წარმოდგენილი ეს ვერსია ჰგავს თამაშს ჭადრაკის დაფასთან, როდესაც ძალიან ბევრი სვლა გათვლილია და ერთი მეორის შეცდომაზე ცდილობენ რომ ითამაშონ. არ მგონია, რომ ამდენი შეცდომა იყოს გათვლილი იმ პოლიტიკურ რეალობებში, რაც გვაქვს ხოლმე საქართველოში და მათ შორის ახლაც.

**— ამ შემთხვევაში, ორივე მხარეზე საუბრობთ?**

— დიახ, ორივე მხარეზე ვსაუბრობ იმიტომ, რომ სააკაშვილის მიერ, იგივე, ბანკის ჩაკეტვიდან დაწყებული, დაშინებებით დამთავრებული, ეს ნაბიჯები იმდენად რეალურ დარტყმას აყენებს ივანიშვილის პოლიტიკურ მიზანს, რომ არ მგონია ამ ნაბიჯების გამოწვევა, თუნდაც უცხოელებისთვის ჩვენების მიზნით, ივანიშვილს სურდეს. უცხოელები ან მისცემენ სერიოზულ რეაქციას, ან - არა და რეალური შედეგი მათ მიერ გამოხატულ რეაქციას ან ექნება, ან — არა მაშინ, როდესაც ეს ძალადობრივი ნაბიჯები რეალურ უარყოფით შედეგს მოუტანენ „ქართულ ოცნებას“. ერთ მხარეს არის სათუო მოგება, მეორე მხარეს კი — „ქართული ოცნებისთვის“ საკმაოდ რეალური წამგებიანი შედეგი. ამიტომ, არ მგონია, რომ აქ იყოს ის ჩანაფიქრი, რაზედაც თქვენ საუბრობთ.

**— რაც შეეხება ხელისუფლების მხრიდან ასეთი რადიკალური ნაბიჯების გადადგმას, ხომ არ ფიქრობთ, რომ ისინი ცდილობენ, ბიძინა ივანიშვილი აიძულონ ქუჩაში გავიდეს?**

— არ გამოვრიცხავ, რადგან თუ ეს პოლიტიკური ძალა ქუჩაში აღმოჩნდება, რადიკალური ქმედებები მერე ნახეთ. საკმაოდ უვნებელი ფაქტების, მაგალითად ხელმოწერების შეგროვებისთვის მიღებული ანაზღაურების გამო, ადამიანების საკმაოდ დიდი რიცხვი მოექცა ძალადობის ქვეშ. წარმოიდგინეთ თუ რამე უფრო სერიოზული მოხდა, რა რეაქცია ექნება იმ ხელისუფლებას, რომელმაც 26 მაისს გვამი გვანახა.

**— ანუ მოვლენების ამ გზით განვითარება არც ერთ მხარეს არ უნდა აწყობდეს?**

— სააკაშვილს შეიძლება აწყობდეს იმიტომ, რომ ის ძალისმიერი გადაწყვეტა, რაც შეიძლება ოპოზიციის ქუჩაში გასვლას მოჰყვეს, არ არის გამორიცხული, რომ გადამწყვეტი აღმოჩნდეს არჩევნებში უპირატესობის მოპოვებისთვის.

იხ. 6 გვ.

## ◉ ინფორმაცია

### სასჯელაღსრულების ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა ჭკუა ვერ ისწავლა

**პატიმრის წამებისა და გაუპატიურების ბრალდებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №15 დაწესებულების ყოფილი თანამშრომლები დააკავეს.**

**მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, მათ ბრალად ედებათ მსჯავრდებულისთვის არაადამიანური მოპყრობა და წამება. პატიმრის წამების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში აღიძრა. პროკურატურის განცხადებით, გამოძიებით დადგინდა, რომ დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსმა ლევან ლეჟავამ, ამავე დაწესებულების დირექტორმა შოთა თოლორდავამ, უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა გიორგი ფარჯანაძემ და პატიმრობის განყოფილების უფროსმა დიმიტრი ჩხეიძემ 2012 წლის 24 თებერვალს, დაახლოებით 22.00 საათზე მსჯავრდებულ პ.ო-ს ამავე დაწესებულების ადმინისტრაციული შენობის სავარჯიშოდ განკუთვნილ ოთახში შეუკრეს ხელ-ფეხი და სასტიკად სცემეს.**

**— სცემეს მათ შორის რეზინის ხელკეტით. პატიმრის მიმართ არაერთხელ გამოიყენეს ელექტროშოკი, რის შემდეგაც წყლით სავსე ჭურჭელში რამდენჯერმე ჩააყოფინეს თავი და რეზინის ხელჯოხით გააუპატიურეს, — აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

**უწყების ცნობით, სასამართლო განჩინების საფუძველზე დაკავებული არიან ლევან ლეჟავა და გიორგი ფარჯანაძე. რაც შეეხება დიმიტრი ჩხეიძეს და შოთა თოლორდავას, ტარდება შესაბამისი ღონისძიებები მათი ადგილსამყოფელის დადგენა-დაკავების მიზნით.**

**ინტერპრესი**

## ◉ მეცნიერთაგან პასუხგასაცემი კითხვები

# თუ ახირებული აზრი მაქვს და სწორი არა ვარ, რატომ არ მეპასუხებიან სპეციალისტები?

### როცა უდავოდ საჭოჭმანო, მაგრამ კეთილშობილური მიზანი გვალაპარაკებს

**ალბათ, ნამდვილად სწორია ის მოსაზრება, რომ სამშობლო საკუთარი ეზო-კარიდან და საკუთარი კუთხიდან იწყება, რასაც ყოველთვის რამე საერთო არა აქვს რა მავნე კუთხურობასთან და, კიდევ უფრო მეტი, ეგრეთ წოდებულ სეპარატიზმთან.**

**ასეა მრავალი თუ არა, საკმაოდ ბევრი კუთხისგან შემდგარ ყველა ქვეყანაში, რომელთა ბინადრის გულს მთლიანად ქვეყნის, როგორც საერთო სამშობლოს, გულწრფელ სიყვარულთან ერთად თავისი კუთხის ალალი სიყვარულიც ათბობს, რაც არამც და არამც დასაძრახისი არ არის და სულაც ხელს არ უშლის ჭეშმარიტ მამულიშვილობას.**

**სწორედაც ასეთ ამბავთან გვაქვს საქმე, როცა ამ ბოლო დროს არცთუ იშვიათად გვესმის კოლხეთის მკვიდრთაგან, ბევრი რამის თვალსაზრისით, ფსევდომეცნიერული საუბარი თავიანთი კუთხის ისტორიულ თუ წინარეისტორიულ უპირატესობაზე. უთუოდ ერთ-ერთი ასეთი პატრიოტი კოლხია დღევანდელი ჩვენი ავტორიც, ბატონი კუკური ფიფია, ასევე ამ ბოლო დროს ჩვენში უხვად მომრავლებულ აკადემიათაგან ორი აკადემიის წევრი, რომლის წერილსაც, რასაკვირველია, საბოლოო ჭეშმარიტების პრეტენზია სულაც არა აქვს და რედაქციაც იმ იმედით ბეჭდავს, რომ ამ დარგის მეცნიერი სპეციალისტები დროულად გამოეხმაურებიან და კვალიფიციურად გასცემენ პასუხს. დიახაც ამას თხოულობს ჩვენი პატივცემული ავტორიც, დღესდღეობით ღრმად დარწმუნებული თავისი მოსაზრების ჭეშმარიტებაში.**

დიდი მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილისა და სხვა ეროვნულ მოღვაწეთა მოთხოვნა ისტორიკოსთა მიმართ, საზოგადოებისთვის მიეწოდებინათ არა ლეონტი მროველის საეჭვო „ქართლის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით შექმნილი, არამედ მიუკერძოებელი და ჭეშმარიტი ისტორია, სამწუხაროდ, ვერ სრულდება!

ამიტომ, პრესის საშუალებით, თუ ოფიციალური წერილებით ბოლო სამი წლის განმავლობაში რამდენჯერმე მივმართე ისტორიკოსებს, ენათმეცნიერებს, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, მაგრამ პასუხი არ მეღირსა.

გასაკვირია, მაგრამ ცხადია, რაღაც მიზეზების გამო, ქართულ წყაროებში იბერიის არსებობა უგულებელყოფილია და ყველგან, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კი, იბერიისა და იბერების ნაცვლად მხოლოდ საქართველო და ქართველები ფიგურირებენ. მაგალითად, პირინეის იბერებისა და კელტ-იბერების ნაცვლად პირინეის ქართველები და კელტი ქართველებია მოხსენიებული. განა ქართები და სხვა ქართველური ტომები იბერები არ არიან? მაგრამ რა სახელწოდებითაც ჩვენი წინაპრები ამა თუ იმ ხანაში იწოდებოდნენ, იმ სახელწოდების ვიღაცის სურვილის მიხედვით თვითნებურად შეცვლა, ჩვენი აზრით, პოზიტიური შედეგის მომტანი ვერ იქნება. პირიქით, მრავალ წინააღმდეგობას და გაუგებრობას შეიძლება შეგვაჯახოს.

როცა ცნობილია I საუკუნის ებრაელი მეცნიერის — იოსებ ფლავიუსის ცნობა, რომ „თუბალები, წარმომდგარნი იაფეტის შვილის თუბალისაგან, იწოდებიან იბერებად“, როცა ყველა დროის უდიდესი მეცნიერი ველჰელმ ჰუმბოლდტი წერს იბერთა ეთნოგენეზისის შესახებ და ასკვნის: „იბერიული ცივილიზაცია ვრცელდებოდა პირინეიდან ინდოეთამდე“; როცა აკადემიკოსები ივ.ჯავახიშვილი და ნიკო მარი, უნიჭიერესი მეცნიერები ალ.ცაგარელი და იოსებ ყიფშიძე გარკვევით წერენ იბერთა ვინაობაზე; როცა გარკვეულია, რომ იბერები კაცობრიობის პირველი ცივილიზაციის შემქმნელები არიან და დადებულია უზარმაზარი შრომები, რომლებიც მეგრული (იბერიული) ენის მაგალითზე მიგვითითებენ, საერთოდ, ენისა და მეტყველების წარმოშობაზე; როცა იბერიულ-ქართული ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ პროტოქართული ენა ესაა მეგრული (იგივე ადამურ-იაფეტურ-იბერიული) ენა, აღნიშნული პროტოქართული ენის როლის დისკრედიტაციისა და ღირსების შელახვისთვის, ზოგი მეცნიერის გაავფთრებული ბრძოლა პიკს აღწევს და საზოგადოების გარკვეული ნაწილი შეჰყავთ შეცდომაში, რაც სხვა რომ არა იყოს რა, უბრალოდ უხერხულია განათლებული და დაკვირვებული საზოგადოების წინაშე.

ასეთი „მეცნიერები“, თავიანთ მიზანს ვერ მოუძებნეს რა მეცნიერული საფუძველი, პოლიტიკური მოტივაციით ცდილობენ მეგრული და სვანური ენების დიალექტებად საერთაშორისო აღიარებას და ემსახურებიან სხვათა მიზნებს. რომელ სხვათაც, დასამალი არ არის, ტიგრან II დროიდან (ძვ.წ.აღ.II ს.) კბილებს უკაწკაწებთ იბერიულ-ქართულ მიწებზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ტარიელ ფუტკარაძემ საკმაო წკეპლა მიიღო ასეთ ქმედებაზე, მან ბრძოლის ფორმა შეცვალა და ჟურნალ „სამეგრელო“-ში (№ 8, 2012 წ.) გამოაქვეყნა ანონიმური წერილი, სადაც უპატიოსნესი მეცნიერი ალ.ცაგარელი, რომელმაც კეთილსინდისიერად შეისწავლა და დაწერა „მეგრული ეტიუდები“, მოღალატედ შერაცხა.

აღსანიშნავია, რომ იბერიული ფესვების ამოძირკვისთვის ბრძოლა ბოლო წლებში არ დაწყებულა, უხსოვარი დროიდან მოდის და წუთისოფლის უკულმართობამ და გარეშე მტრული ძალების პოლიტიკურმა ინტრიგებმა ბოლოს და ბოლოს შეძლეს იბერთა და ქართებს შორის შუღლის ჩამოგდება, რამაც გამოიწვია ლეგენდარულ იბერთა სახელმწიფოს დაცემა და დაშლა-დაქუცმაცება (ახ.წ.აღ. VI საუკუნის I მეოთხედი).

რატომ „დაგვექცევა თავზე ქვეყანა“, მეგრული (პროტოქართული) ენის დიალექტად საერთაშორისო აღიარება თუ ვერ მოხერხდება? როგორი ერთიანობა სურს ტ.ფუტკარაძეს, როცა მეგრული ენის დიალექტად არ აღიარების შემთხვევაში საქართველოს დაშლის საშიშროებაზე გვესაუბრება?

ჩვენი აზრით, ქვეყანა სწორედ მაშინ დაგვექცევა თავზე, როცა ადამიანის გაჩენიდან — დაშლილი იბერიის ისევ გაერთიანებამდე (1008 წ.) ერის წარსულზე მეტყველი, დიდი საიდუმლოებების მფლობელი და შეუდარებელი სიმდიდრის მქონე ენა იქნება დიალექტიკად აღიარებული. რატომ?

ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკის 50 პროცენტზე მეტი, აკაკი შანიძის მიხედვით, ნასესხები და უცხოურია, ხოლო 50 პროცენტამდე კი ეროვნული წარმოშობისაა, რომლის ეტიმოლოგია, ჩასახვის დროიდან დაწყებული, ფონეტიკური ცვლილებების გავლით, თანამედროვე სიტყვებად ჩამოყალიბებამდე, ირკვევა მხოლოდ იბერიული ენით, რომელსაც დღეს არცთუ ისე სიყვარულით შერქმეული სახელი მეგრული ჰქვია (იბერი-იგერი-ეგერი-ეგრი-მეგრი. აქედან მეგრელი); იბერიული ენა დღემდე ინახავს სამეტყველო ბგერების წარმოშობის საიდუმლოებებს, რასაც აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის აზრს თუ გავიმეორებთ, „...შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას, საერთოდ, მეტყველების წარმოშობის საკითხში, რამეთუ არაფერი არ არსებობს ისეთი საერთო რამ ყველა ენისთვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად“, იბერიულ ენას შემონახული აქვს უმდიდრესი ლექსიკა, რომელშიც ჩაკირულია მეტყველების ჩასახვისა და განვითარების საიდუმლოებანი.

დღეს ჩვენს საერთო სალიტერატურო ენას არცთუ ისე უსაფუძვლოდ ჰქვია ქართული (...„ქართური-შერეული-იბერიულის (50%), სპარსულის, ბერძნულის, სომხურის, ლათინურის, არაბულის, თურქულის ნარევი), თუმცა მე მირჩევნია, აღვადგინოთ ისტორიული სახელწოდება იბერები და იბერია, რადგან ქართი (... ქარდი) სიყვარულით შერქმეული სახელი კი არ არის (აღსანიშნავია, რომ ეთნიკური სახელწოდების ქართის მნიშვნელობა და წარმომავლობა დღემდე დადგენილი არ არის), არამედ იბერიიდან გამოყოფის შემდეგ განაწყენებულ იბერთა მიერ შერქმეული სახელია და იბერიულ ენაზე ცხოველებთან მიმართებაში იხმარება, ხოლო ადამიანებზე იტყვიან: ქაკათი (შეერიე). რა თქმა უნდა, ეს იყო იბერთა დიდი შეცდომა, შეიძლება, ერთ-ერთი მიზეზიც იბერიის დაცემისა.

ჩვენი აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში ჯობს დავიბრუნოთ ისტორიული სახელწოდება იბერები, მაგრამ თუ ქართველი ერის უმრავლესობა ვერ შეელევა დღევანდელ სახელწოდებას, გვერქვას ქართველები და საქართველო. ოღონდ, ღირსეული ერი ვიყოთ და სახელი რა გვერქმევა, ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

იხ. 6 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დაპირისპირება



# „თუ ოპოზიციური პოლიტიკური ძალა ქუჩაში აღმოჩნდება, რადიკალიზმი მერე ნახეთ“

(მეხუთე გვერდიდან) შეიძლება ამ ნაბიჯებს, გარ- და მოსახლეობის დაშინებისა, პოლიტიკური ძალების პროვოცირების ფუნქცია ჰქონდეს. ამიტომ ოპოზიცია სწორად იქცევა, როდესაც ცდილობს, რომ ქუჩა არ გახადოს პოლიტიკურ ფრონტად.

**— ირაკლი ალასანიამ დიპლომატებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ხელისუფლება ქმნის შეიარაღებულ დაჯგუფებებს და სამოქალაქო დაპირისპირებისთვის ემზადება. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?**

— სიმართლე გითხრათ, მე რადიოში მოვისმინე როგორც ეს განცხადება, ასევე მისი საპასუხო, კერძოდ ნუგზარ წიკლაურის განცხადება. მან თქვა, რომ თუ სამოქალაქო ომზე ვსაუბრობთ, გამოდის, მეორე მხარეს იარაღი აქვს და ეს იარაღი უნდა ვეძებოთო. სამოქალაქო დაპირისპირება და სამოქალაქო ომი საკმაოდ განსხვავებული ცნებებია. სამოქალაქო დაპირისპირება შეიძლება გვქონდეს ნებისმიერ რთულ სიტუაციაში. მიტინგები რომ იმართება, ეს სამოქალაქო დაპირისპირებაა, მაგრამ სამოქალაქო ომი და თოფის სროლა არ არის. ასე რომ, თუკი ამ მიმართულებას ექნება ინტერპრეტაცია, ეს ნამდვილად ჯოხის გადაყოლა იქნება ნაციონალებისთვის სასურველ მხარეს, რაც არ არის გამორიცხული.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ ხდება შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბება, შეიძლება ითქვას, ხელისუფლება ემზადება იმისთვის, რომ თუ მიტინგები და საპროტესტო აქციები დაიწყო, დამატებითი ძალები გამოიყენოს. შეიძლება არსებობდეს ასეთი ვერსია, მაგრამ ამაზე ბრალდების წაყენება რთულია. ჯერჯერობით, იმდენად ფარული პროცესია, რომ რეალურად რა ხდება, უცნობია.

**— ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენისთანავე, მასთან შესახვედრად მის რეზიდენციაში პრაქტიკულად მთელი დიპლომატიური კორპუსი მივიდა. მას შემდეგ დიპლომატებს ხშირად ვხედავთ. „ქართული ოცნების“ ოფისში. როგორ ფიქრობთ, ხომ არ გაიზარდა დასავლეთის მხარდაჭერა ქართული ოპოზიციის მიმართ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ?**

— ქართული ოპოზიციის წარმომადგენლებს არაერთხელ აღუნიშნავთ, მათ, ვინც ამ ფრონტზე ადრეც მოძრაობდა, რომ დასავლეთის დღევანდელი დამოკიდებულება ქართული ოპოზიციის მიმართ უპრეცედენტოა.

**— ეს განაპირობა ივანიშვილის პიროვნებამ თუ საქართველოში შექმნილმა გარემოებებმა?**

— მე მგონი, უფრო გარემოებების შედეგია ეს ცვლილება, რადგან ივანიშვილი დასავლეთის პოლიტიკისთვის უცნობი ფიგურაა. არათუ დასავლეთის, არამედ საქართველოს პოლიტიკისთვისაც არ არსებობდა ივანიშვილი სულ რაღაც რამდენიმე თვის წინათ. უბრალოდ, პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ ივანიშვილის გადადგმული ნაბიჯები, როგორც ჩანს, ჯერჯერობით მისაღებია დასავლეთისთვის და მეტი, სხვა არაფერი. საეჭვოა, რომ ივანიშვილის ფიგურას გამოეწვიოს დასავლეთის მხარდაჭერა. უფრო მეჩვენება, რომ ივანიშვილის ფიგურასთან ერთად დასავლეთის მხარდაჭერა გამოიწვია იმან, რომ ხელისუფლებაში სააკაშვილისა და მისი გუნდის ყოფნა არ უნდა გაგრძელდეს, რადგან ეს გარკვეულ სირთულეებს შეუქმნის საქართველოს პარტნიორებს და მათ შეიძლება მოუწიოთ ჩვენს პარტნიორობაზე უარის თქმაც კი მსოფლიო საზოგადოებრიობასთან ნორმალური ურთიერთობების შესანარჩუნებლად.

**— ჯონ ბასის მიერ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით მინდა, გკითხოთ, როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს?**

— მე მგონი, რაც უცხოეთის დიპლომატიაზე ვთქვით ზოგადად, ყველაზე მეტად ეხება ამერიკულ დიპლომატიას, ვინაიდან ამერიკა ყველაზე მეტად პარტნიორობს საქართველოსთან. შესაბამისად, ამერიკა ყველაზე უფრო მეტად არის დაინტერესებული, რომ მისი პარტნიორი ღირსეული პოლიტიკური სახის მატარებელი იყოს. ამის გამოხატულებაა ასეთი საჯარო კარნახი ელჩის მხრიდან, რა არის მიზანშეწონილი და რა არა დემოკრატიის თვალსაზრისით.

**— თქვენი აზრით, ხელისუფლების ქმედებებზე ბასის ეს განცხადება რაიმე გავლენას თუ იქონიებს?**

— ჯერჯერობით, ყოველთვის მეტ-ნაკლებად ძლიერი გავლენა ჰქონდა მის სიტყვებს ჩვენს ხელისუფლებაზე. იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერადაც ასე იქნება. ბოლოს და ბოლოს, ეს განცხადებები სწორედ იმისთვის კეთდება, რომ ხელისუფლებამ გარკვეული ქმედებები შეწყვიტოს.

სხვათა შორის, არის კიდევ ერთი საინტერესო მომენტი — ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან იყო ასეთი რეპლიკა, რომ ჯონ ბასს ხელისუფლებასთან ურთიერთობა ყოველთვის შეუძლია და რატომ არ უთხრა მან თავისი სათქმელი უშუალოდ ხელისუფლებას და რაში დასჭირდა საჯარო განცხადება. საქმე ის არის, რომ ამერიკას აქვს ერთი პრობლემა, რომელიც მას უმთავრესად ჩვენმა ხელისუფლებამ გაუჩინა — ამერიკული საელჩოს რეიტინგი. ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო აქციებიც კი ეწყობოდა და ეს იმ ქვეყანაში, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღიდან ხაზგასმით და რადიკალურად პროამერიკული იყო. ასე რომ, უდავოდ ელჩი უფრთხილდება არა მარტო მის პარტნიორ ხელისუფლებას, არამედ თვითონ ამერიკის ავტორიტეტსაც საქართველოს მოსახლეობის თვალში, ანუ იმას, რომ საქართველოს მოსახლეობა ამერიკას თვლიდეს დემოკრატიის დამცველად საქართველოში. სწორედ ამიტომ არის, რომ ელჩი ასეთ საჯარო განცხადებას აკეთებს და არ შემოიფარგლება მხოლოდ კულუარული საუბრებით.

**რუსუდან უშიკიშვილი**

მეცნიერთაგან პასუხგასაცემი კითხვები

# თუ ახირებული აზრი მაქვს და სწორი არა ვარ, რატომ არ მეპასუხებიან სპეციალისტები?

(მეხუთე გვერდიდან) აღსანიშნავია, რომ იდეა, დავიბრუნოთ ისტორიული სახელწოდება იბერები და იბერია, პირველად მე არ მითქვამს, როგორც ვიცი, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას და ცნობილი ერისკაცის — ანზორ შონიას მიზანიც ეგ იყო.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, რაც ჩემზე უკეთ თუ არა, არანაკლებ იციან მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, წინა გამოცემისგან განსხვავებით, საქართველოს ისტორიის ბოლო გამოცემაში ჩნდება სრულიად გაუგონარი რამ: თურმე იბერია ელინური სახელწოდება ყოფილა ქართლისა, თორემ ეროვნულ სინამდვილეში ჩვენი სამშობლო — ქვეყანა ასეთი სახელწოდებით არასოდეს არსებულა (იხ.საქართველოს ისტორია, ტომი I, 2012, გვ.264).

ამის შემდეგ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვებიც: ტ.ფუტკარაძისა და მის თანამოაზრეთა კურსი ხომ არ არის შიში იმისა, რომ ყველაფერი ზემოთქმულის აღიარების შემთხვევაში, ისევ გაბატონდება ძველი იბერიული ენა, ხოლო ქართები და ქართული ისევ დაიჩაგრებიან? თუ ასეა, ეს შიში ნამდვილად უსაფუძვლოა, რადგან, ჯერ ერთი, იბერიული ენა დღეისთვის სულ შვიდიოდე რაიონს შემორჩა და მისი გავრცელება დანარჩენ საქართველოში გამორიცხულია, პირიქით, ვიწროვდება მისი გავრცელების არეალი; მეორეც, ძველი იბერიულის მთელ საქართველოში გავრცელებას არავინ მიელტვის, რადგან მისი წილი საერთო სალიტერატურო ენაში მეტი თუ არა, არანაკლებია, ვიდრე ყველა დანარჩენის ერთად აღებული და ამის საჭიროება არ არსებობს; მესამეც, თუ საერთო სალიტერატურო ენაში დამკვიდრდება ის სიმდიდრეები, რაც იბერიულმა შემოინახა (ამის ამბიცია ნამდვილად გვაქვს ე.წ. მეგრელებს), ხოლო დანარჩენმა იბერიული მოდგმის ტომებმა დაკარგეს, ამით კი არ დააკლდება რამე საერთო ენას, არამედ დღეისთვის არსებული ყოველგვარი შიდა ენობრივი პრობლემა უმტკივნეულოდ გადაიჭრება და კუთხური განსხვავებებიც თანდათანობით წაიშლება.

თუ იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა, ეროვნულ სინამდვილეში სახელმწიფო ასეთი სახელწოდებით რატომ არასოდეს არ არსებულა; თუ ქართული ენა, როგორც საქართველოს ისტორიის ახალ გამოცემაში წერია, ძვ.წ.აღ.III ათასწლეულის შუა პერიოდიდან დაწინაურებული ენაა, ფარნავაზის ეპოქიდან კი სახელმწიფო და სამწერლობო, ხოლო მეგრული (იბერიული) მისი კილოკავი, უკეთეს შემთხვევაში, დიალექტი, მაშინ:

რატომ აქვთ ზოგიერთებს ასეთი პათოლოგიური შიში ე.წ. მეგრული ენისა და რატომ ებრძვიან მას ასე თავაწყვეტილნი?

მაინცდამაინც ეგრის-აფხაზეთისა და ქართლის გაერთიანების (1008 წ.) და ქართული ენისთვის საერთო სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების შემდეგ, პეტრიწის წინარე ხანაში, რატომ მომრავლდნენ უნიჭო და უმეცარი მთარგმნელები, რომელთა თარგმანებს შორის „შეუსაბამობათა უსაზღვროობა დაულეველი იყო“, ხოლო ასეთს მანამდე აღარასოდეს ჰქონია ადგილი?

რატომ დარჩა პეტრიწის ეპოქამდე (1050-1125), თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში, მდაბიოთა ენად, როცა პეტრიწის ეპოქიდან რუსთაველის ეპოქამდე, ერთ საუკუნეში, ისეთი რეფორმის გატარება ყოფილა შესაძლებელი, რომ მდაბიოთა ენა (იხ.იოანე პეტრიწი, შრომები II, ს.ყაუხჩიშვილისა და შ.ნუცუბიძის რედაქციით, 1937, გვ.220) კლასიკურ ენად ქცეულიყო?

თუ „წმინდა შუშანიკის მარტვილობა“ და სხვა წერილობითი ძეგლები დედანში V საუკუნეში ქართლურ ენაზე დაწერილი ძეგლებია, რომლებშიც ძველი ქართული ენის არასპეციალისტისთვისაც არაფერია გაუგებარი, ხოლო ენა ექვსი საუკუნის შემდეგ მცხოვრები, იმ დროისთვის უგანათლებულესი იოანე პეტრიწისა, რომელმაც იკისრა ქართლური ენის რეფორმა, 50% რეფორმის შემდეგაც გაუგებარია და თარგმნა მოითხოვა, რატომ დამდაბლდა და გაუხეშდა მდაბიოთა ენამდე?

თუ იბერები და ქართები, როგორც ანდრია აფაქიძე ირწმუნება, ეთნიკურად ერთი და იგივე ტომი იყო, ხოლო მათი სამეტყველო ენა ქართული, რატომ გამოეყვნენ ქართები იბერებს ახ.წ.აღ-ის II საუკუნეში და ექვსი მეფის მეფობის განმავლობაში აღარ ემორჩილებოდნენ (იხ.ჟურნალი „მნათობი“, 1948 წ. № 8, ექვ.თაყაიშვილი, „როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ“)?

რატომ ერქვა ფარნავაზის სამეფო ქვეყანას იბერია?

თუ პეტრე იბერის მშობლიური ენა ქართული იყო, რატომ გააყოლეს ბიზანტიაში, 11 წლის ყრმას, მაინცდამაინც იოანე ლაზი (იბერი), რომ მშობლიური ენა არ დავიწყებოდა (იხ. შ.ნუცუბიძე, „პეტრე იბერი და ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობა“)? ნუთუ ქართლში ვერ მოიძებნა საკუთარი მშობლიური ენის იბერზე უკეთ მცოდნე?

თუ იბერიული ქართული ენის კილოკავია, საიდან და როგორ განუვითარდა კილოკავს ძირეულ ენაზე მრავალჯერ მეტი სააფიქსაციო საშუალებები და, შესაბამისად, რამდენიმე ათასჯერ მეტი ლექსიკური მარაგი?

რატომ ამტკიცებს თვით ე.წ. ქართული ანბანი (მხედრულიცა და ასომთავრულიც) თავის არა ქართლურ, არამედ კოლხურ-იბერიულ წარმომავლობას?

თუ იოანე ზოსიმეს მიერ „გადმოჩხიბული“ თხზულება „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ დედანში, მართლაც, ასეთი სათაურით და ქართული ენის მისამართით იყო დაწერილი და არა XI საუკუნის დასაწყისში (1008 წ.) ნამდვილად დაწუნებული იბერიული ენის მისამართით და „ამას ენასა სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიან“, მაშინ რატომ ვერ ხსნის ქართული ენა სიტყვა ლაზარეს ეტიმოლოგიას, და ქართული ენა „...შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული...“ რა დროიდან, რისთვის და ვისგან იქნა დაწუნებული?

შეუძლებელია, ეს კითხვები არ გასჩენოდათ ცნობილ მეცნიერებს თ.გამყრელიძეს, მ.ლორთქიფანიძეს, ა.აფაქიძეს, რ.მეტრეველს და ბევრ სხვას. ამიტომ, როგორც თავიდან აღვნიშნეთ, რამდენჯერმე ოფიციალურად დავსვი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინაშე ეს კითხვები, მაგრამ რატომღაც ამაზე არავინ შეწუხებულა.

რა თქმა უნდა, ყველა ამ კითხვაზე მე მაქვს საკუთარი მოსაზრება, რომელთა ჭეშმარიტებისა ღრმად და მტკიცედ მჯერა, მაგრამ აუცილებელია უშუალოდ სპეციალისტთა პასუხი, რომ საბოლოოდ დადგინდეს ჭეშმარიტება და გაუგებრობიდან შევძლოთ ამოსვლა...

მამულიშვილნო, ქართველებო, მოგმართავთ იმედით, რომ ყურად იღებთ ქვეყნის მომავლისთვის უდიდესი მნიშვნელობის პრობლემის გაჩენას, არადა, ყალბ ისტორიაზე დაშენებული ქვეყანა ვერ იქნება მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი.

**კუკური ფიფია,**
**„ზანისისა“ და „აიას“**
**საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრი.**

ინფორმაცია

## შიმშილით გარდაცვლილ ბავშვზე პასუხისმგებლობა სოფლის ექიმს დაეკისრა

**ერთი წლის გოგიტა აბაშიძის გარდაცვალების ფაქტზე პასუხისმგებლობა დაეკისრა სოფლის ექიმს, რომელსაც 4 თვით ლიცენზია შეუჩერდა. ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ბრიფინგზე განაცხადა.**

**სერგეენკომ ჯანდაცვის სისტემაში არსებულ პრობლემას დაუკავშირა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოში ერთი წლის გოგიტა აბაშიძის გარდაცვალების ფაქტი. ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, გოგიტა აბაშიძე დაუბალანსებელი კვების შედეგად გარდაიცვალა. გარდაცვალების ფაქტი უკვე შესწავლილია.**

**როგორც ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, პასუხისმგებლობა დაეკისრა სოფლის ექიმს, რომელსაც 4 თვით შეუჩერდა ექიმის ლიცენზია და ასევე დაეკისრა კვალიფიკაციის ამაღლება. დავით სერგეენკომ სოციალურ მუშაკებზეც ისაუბრა და განაცხადა რომ სოციალური მუშაკები კანონის ფარგლებში მოქმედებდნენ, თუმცა, გოგიტა აბაშიძის ფაქტთან დაკავშირებით გარდაცვალებამდე განგაში არ აუტეხიათ. ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, ქაღალდზე კარგად არის დაწერილი სოფლის ექიმის პროექტი, თუმცა, რაც ქაღალდზეა დაწერილი, იმის ნახევარი რომ სრულდებოდეს, პროექტი წარმატებული იქნებოდა.**

**როგორც მინისტრმა აღნიშნა, გოგიტა აბაშიძის გარდაცვალების ფაქტი პირველი არ არის და 2012 წლის დეკემბერში საგარეჯოს რაიონშიც დაფიქსირდა მსგავსი შემთხვევა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# კომპანიასა და უნივერსიტეტს შორის გადებული ხიდი

**გუშინ საუნივერსიტეტო განათლებას და ბიზნესს შორის კიდევ ერთი ხიდი გაიდო.**

**კომპანია „მაგთიკომის“ ოფისში ტექნიკური უნივერსიტეტის თორმეტ სტუდენტს „მაგთიკომის“ სტიპენდია გადაეცათ.**

პროექტი „მაგთიკომის სტიპენდია“, რომელიც 2012 სასწავლო წლიდან დაიწყო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თორმეტი საუკეთესო სტუდენტის წახალისებას ისახავს მიზნად და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ხორციელდება.

ბუნებრივია, მსოფლიო მასშტაბით კომუნიკაციების განვითარების სწრაფი ტემპი და მნიშვნელობა, ასევე თავად მაგთიკომის პროფილი გახდა იმის განმსაზღვრელი, რომ კომპანიამ ახალი ყველაზე ფართო პროექტი „მაგთიკომის სტიპენდია“ სწორედ ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების სტუდენტებისთვის განახორციელა. ამ ფაკულტეტების მე-2, მე-3 და მე-4 კურსის საუკეთესო სტუდენტებს, მაღალი აკადემიური მოსწრების მიხედვით რექტორატი არჩევს, კომპანია „მაგთიკომი“ კი ყოველთვიურად 300-ლარიან სტიპენდიას გადასცემს. შედეგები ყოველ სემესტრში გადაიხედება.

როგორც **„მაგთიკომის“ პრეზიდენტმა ბატონმა დევიდ ლიმ** წარმატებულ სტუდენტებთან შეხვედრაზე აღნიშნა, „მაგთიკომი“ აგრძელებს ქართული საქმის კეთებას და დიდ ძალისხმევას მოახმარს საქართველოში ახალი ტექნოლოგიების სპეციალისტების მომზადებას.

ბატონმა დევიდ ლიმ განაცხადა, რომ სტიპენდიატების წახალისების გარდა, კომპანია „მაგთიკომი“ საუკეთესო კურსდამთავრებულებსაც აძლევს შანსს ვაკანტურ პოზიციებზე შერჩეულ კანდიდატთა სიაში მოხვდნენ.

უკვე ათეულობით კურსდამთავრებული გახდა კომპანია „მაგთიკომის“ თანამშრომელი.

ტექნიკური **უნივერსიტეტის რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა** მადლობა გადაუხადა კომპანია „მაგთიკომს“ და განსაკუთრებით მის დამფუძნებელს, ბატონ **გია ჯოხთაბერიძეს,** რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტსა და კომპანიას შორის ასეთი თანამშრომლობა წარმოებასა და განათლებას შორის გადებული კიდევ ერთი ბრწყინვალე ხიდია. „პროექტი უკვე მეორე წელიწადია მიმდინარეობს და ამ პერიოდის განმავლობაში წახალისდა უამრავი სტუდენტი. ჩვენი უნივერსიტეტი ამაყობს ბატონი გია ჯოხთაბერიძით, რომელიც მუდამ გვერდში უდგას განათლების დონის ამაღლებას მის მშობლიურ უნივერსიტეტში.

„ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების“ ფაკულტეტის **მესამე კურსის სტუდენტმა ნიკა ადეიშვილმა,** ერთი კვირის წინათ ამ დიდი პატივის შესახებ თავისი მეგობრისგან შეიტყო: „ძალიან გამიხარდა და ცოტა დავიბენი“, თქვა „საქართველოს რესპუბლიკასთან“ საუბარში კომპანია „მაგთიკომის“ სტიპენდიატმა, — „ჩემთვის ძალიან საპატიოა კომპანია „მაგთიკომის“ სტიპენდია და განსაკუთრებით ის პერსპექტივა, როგორიც სწავლის დამთავრების შემდეგ ამ კომპანიის შესაძლო თანამშრომლობაა. ის უახლესი და მაღალი ტექნოლოგიები, რომლებიც კომპანია „მაგთიკომმა“ საქართველოში შემოიტანა, არა მხოლოდ მომხმარებლისთვის არის საინტერესო, არამედ ტექნიკური დარგის ნებისმიერი სპეციალისტისთვის . ეს უაღრესად პერსპექტიული სამუშაოა. ნამდვილად მეამაყება, რომ ამ ორგანიზაციის სტიპანდიატი ვარ და მთელ ძალას მოვახმარ იმას, რომ კიდევ უფრო გავიღრმავო ცოდნა და ამ კომპანიის თანამშრომელი გავხდე“.



დღევანდელი მძიმე ეკონომიკური ფონი, რომელიც ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას ხელს უშლის ჯეროვანი განათლების მიღებაში, მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებიდან ვერ დაიძლევა. ამ უაღრესად საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში აუცილებელია ბიზნესსექტორის ჩართვა. სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება **საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამმართველოს უფროსმა ოთარ ზუმბურიძემ:** „მხოლოდ ქვეყნის ბიუჯეტი ვერ შეძლებს შექმნას ის დონე, რომელიც დღევანდელობისთვის არის მისაღები. სწრაფად მზარდი ტექნოლოგიების დაუფლებისთვის აუცილებელია ბიზნესჯგუფების ჩართვა. კომპანია „მაგთიკომი“ არ იშურებს არც ძალას და არც ენერგიას, რათა ქართველ ახალგაზრდებს მიეცეთ საშუალება დაეუფლონ იმ მიღწევებს, რასაც წარმატებული სამეცნიერო წრეები ძალიან სწრაფად სთავაზობენ მომხმარებელს.



„ის „სივი“, რომელშიც კომპანია „მაგთიკომის“ სტიპენდიატი არის აღნიშნული, ნებისმიერი კურსდამთავრებულისთვის მომავალ კარიერაში წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია“.

კომპანია „მაგთიკომისა“ და ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლობა, მხოლოდ სტიპენდირებით არ შემოიფარგლება. როგორც მაგთიკომელებმა „საქართველოს რესპუბლიკასთან“ საუბარში აღნიშნეს, კომპანია მუდმივად ეხმარება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის განახლებაში, აწვდის კომპიუტერებსა და სხვადასხვა აუცილებელ აღჭურვილობას. კომპანია „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თათული ღვინიაშვილმა გვამცნო, რომ კომპანია „მაგთიკომის“ თორმეტ სტიპენდიატს კომპანიამ ერთდღიანი სემინარი სათაო ოფისში მოუწყო“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, მათი პროფილის კომპანიაში მთელი დღის გატარება განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა. აქ სხვა თანამშრომლებთან ერთად, თავად „მაგთიკომის“ პრეზიდენტმა ბატონმა დევიდ ლიმ ითავა სტუდენტების მასპინძლობა. მან სტუდენტებს ყველა მნიშვნელოვანი განყოფილება დაათვალიერებინა და მუშაობის პრინციპები გააცნო.

აქვე გთავაზობთ იმ თორმეტი წარმატებული სტუდენტის გვარებს, რომლებიც რექტორის მიერ მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მიხედვით იყვნენ შერჩეულნი და რომლებმაც კომპანია „მაგთიკომის“ მეტად პრესტიჟული სტიპენდია დაიმსახურეს:

**1. თეონა გნოლიძე**
**2. გიორგი დარჩიაშვილი**
**3. ლაშა იოსებიძე**
**4. ნანული დანელია**
**5. ნოდარ დარჩიაშვილი**
**6. თამარ ჟვანია**
**7. ანა კაკაბაძე**
**8. კოტე ბეგიაშვილი**
**9. ნიკა ადეიშვილი**
**10. სანდრო მაისურაძე**
**11. მერი გოგოლაძე**
**12. მარიამ კერვალი.**

აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა მეორედ გახდა სტიპენდიატი და, რაც მთავარია, მოიმატა სტიპენდიის მიმღები სტუდენტის შესარჩევმა ქულამ, რაც უდაოდ მეტყველებს ჯანსაღი კონკურენციის საუკეთესო შედეგებზე. სტუდენტებმა იციან, რომ კიდევ უფრო უკეთესები უნდა იყვნენ, მიღწეულის შესანარჩუნებლად.

**ლაშა იოსებიძე, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, III კურსი:** მაგთიკომის სტიპენდია მეორე სემესტრიდან მერგო. ვარ პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიატიც. მიხარია, რომ შრომა დამიფასდა და მეამაყება, ოჯახს ტვირთად რომ არ ვაწევარ. ვაპირებ თანხა მოვაგროვო მაგისტრატურაში ჩასაბარებლად. რა თქმა უნდა, ვიზრუნებ, კვლავაც დავრჩე სტიპენდიატთა რიცხვში.“

წარმატება ვუსურვოთ კომპანია „მაგთიკომს“ ამ მართლაც ღირსეული ქართული საქმის კეთებაში და ვისურვოთ, რომ სხვა კომპანიებმაც მიბაძონ მას.



**გია გაბრიჭიძე**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „პასუხები პიარი იყო“

## საქართველოში გადაწყვიტეს 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების მიზეზებში ხელმეორედ გაერკვნენ

საქართველოს პარლამენტში განზრახული აქვთ, ხელმეორედ მოაწყონ 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების მიზეზების გამოკვლევა. როგორც პარლამენტის უმრავლესობაში მიიჩნიეს, ადრე გაკეთებული დასკვნები იმ დღეების მოვლენების შესახებ იყო „პიარი“ და ქვეყნის ხელისუფლების მცდელობა „დამალოს რეალური სიტუაცია“. პარალელურად „არაპოლიტიკური“ გამოკვლევა განზრახული აქვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსაც.

საქართველოს პარლამენტში შეიქმნება კომისია 2008 წლის აგვისტოს ომის ვითარებათა დადგენის შესახებ. ამის შესახებ ოთხშაბათს ჟურნალისტებს განუცხადა პარლამენტის უმრავლესობის ხელმძღვანელმა დავით საგანელიძემ.

„ჯერჯერობით კონკრეტულად უცნობია, რა ფორმით იფუნქციონირებს ეს კომისია, მაგრამ იგი აუცილებლად შეიქმნება. საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, რა მოვლენები უსწრებდა წინ ამ ომს, რა ხდებოდა, რა ართულებდა სიტუაციას“, — მოჰყავს მისი სიტყვები „იტარ-ტასს“.

შეგახსენებთ, საქართველო-ოსეთის ომის დამთავრებიდან ერთი თვის შემდეგ საქართველოს პარლამენტში უკვე შექმნეს კომისია „სამხედრო აგრესიისა და სხვა მოქმედებათა შესწავლის შესახებ, რომლებიც განახორციელა რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით“. სამი თვის შემდეგ მან გამოიტანა ვერდიქტი იმის შესახებ, რომ რუსეთი რამდენიმე თვის განმავლობაში გეგმავდა „საქართველოზე თავდასხმას“. „რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს შესაბამის სამსახურებში შემოდიოდა სიგნალები რუსეთის მხრიდან სამხედრო ოპერაციის მზადების შესახებ, მაგრამ არ გაკეთდა მოსალოდნელი საფრთხეების ანალიზი აუცილებელ დონეზე, ამიტომ სამხედრო ოპერაციის მასშტაბები რუსეთის ფედერაციის მხრიდან, მოულოდნელი აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლებისთვის“, — ნათქვამი იყო მის დასკვნებში.

რუსეთის ხედვა იმ დღეების მოვლენებისა ძირეულად განსხვავდება ქართულისგან: მოსკოვშიც, ცხინვალშიც არაერთგზით აცხადებდნენ, რომ სწორედ საქართველომ დაიწყო აგრესია სამხრეთი ოსეთის წინააღმდეგ. კონფლიქტი გაჩაღდა არა 8 აგვისტოს ღამით, როდესაც საქართველოს სამხედრო ძალებმა მასირებული ცეცხლი გაუხსნეს სამხრეთი ოსეთის დედაქალაქს და თავს დაესხნენ რუსეთის მშვიდობისმყოფელებს, არამედ მანამდე რამდენიმე დღით ადრე. „ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ამ დროს 5,6,7 და 8 რიცხვებში (2008 წლის აგვისტოში), მე მივიღე პირდაპირ ცხინვალიდან, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს ეს, ჟურნალისტებისგან. იმიტომ, რომ სწორედ ჟურნალისტებს ჰქონდათ ურთიერთობა ჩემს პრესმდივან დმიტრი სერგის ძე პესკოვთან, ის კი მოდიოდა ჩემთან და მაცნობებდა ინფორმაციას იმ საბრძოლო მოქმედებათა შესახებ, რაც იქ ხდებოდა. თქვენი კოლეგები პირდაპირ საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს ნამდვილი ომი, რომ რეალურად შემოვიდა რეგულარული ქართული არმია. სიტყვასიტყვით ეს ასე ჟღერდა: „რეალურად მიმდინარეობს ომი, ნამდვილი ომი, იღუპებიან მშვიდობიანი მცხოვრებლები და ჩვენი მშვიდობისმყოფელები“, — აღნიშნავდა თავის მოგონებებში იმ მოვლენების შესახებ პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, რომელსაც 2008 წელს პრემიერის პოსტი ეკავა.



იმისთვის კი, რომ დაემალა თავისი ბრალი სამხრეთ ოსეთზე თავდასხმაში, საქართველოს ხელმძღვანელობა ცდილობდა, მოეხდინა რუსეთის არმიის დისკრედიტირება, დაამონტაჟა ფოტო და ვიდეო კადრები ქართული სოფლების მშვიდობიან მოსახლეობას შორის მასობრივი მსხვერპლის შესახებ.

საქართველოს ახალ პარლამენტს წინა კომისიის დასკვნები ასევე საეჭვოდ მოეჩვენა. როგორც საგანელიძემ აღნიშნა, კომისიამ მაშინ „არ მოგვცა პასუხები მითითებულ შეკითხვებზე“. „პასუხები, რომლებიც მისცა საზოგადოებრიობას წინა ხელისუფლებამ, იყო პიარი და მცდელობა, დაემალათ რეალური სიტუაცია“, — აღნიშნა მან.

პარალელურად საკუთარი, მაგრამ არა უკვე პოლიტიკური გამოკვლევა მომხდარის შესახებ, განზრახული აქვს, მოაწყოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. „ჩვენ გვსურს, გამოვარკვიოთ სხვადასხვა საკითხები. მაგალითად, როგორ მოქმედებდა სარეზერვო ქვედანაყოფები, რატომ არ მოხდა მოსახლეობის ევაკუაცია ან რა მიზნებით დაიხარჯა რვა მილიარდი ლარი, რაც გამოიყო არმიის განმტკიცებისთვის, რამ გამოიწვია სამხედრო წარუმატებლობა“, — განაცხადა მე-9 ტელეარხის ეთერში თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.

ქვეყნის პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ასევე ოთხშაბათს დაუდასტურა ჟურნალისტებს, რომ „მასაც ბევრი შეკითხვები აქვს 2008 წლის ომის თემასთან დაკავშირებით“. „მიმაჩნია, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება პრეზიდენტის მეთაურობით მოიქცა არა სავსებით ადეკვატურად იმ სიტუაციასთან დაკავშირებით. გაუმართლებლად მიმაჩნია, რომ საქართველოს სამხედრო ნაწილები მოიყვანეს მზადყოფნაში მანამ, სანამ რუსეთმა გადმოკვეთა ჩვენი საზღვარი. მე ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს მოვლენებს. დიახ, იყო დაძაბულობა, მაგრამ არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა — ერთ-ერთი ჭურვი შევარდა სახლში და დააზიანა კედელი, საკმარისი იყო კონფლიქტის ზონიდან გამოგვეყვანა მაქსიმუმი 100 მცხოვრები, ჩაგვეყენებინა სამხედრო ნაწილები და მოგვეწვია საერთაშორისო მონიტორინგი, და ეს იქნებოდა ერთადერთი სწორი ნაბიჯი“, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არც ადრე გამორიცხავდა, რომ შეიძლება დაკითხონ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, აგრეთვე მთელი რიგი მაღალი რანგის ჩინოვნიკები საქართველო-რუსეთის ომის საქმესთან დაკავშირებით. „ჰააგის სასამართლოს პროკურორთან შევიდა მრავალი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მოქალაქეები და უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა წარმომადგენლების მიმართვები საჩივრებითა და განცხადებებით, რომ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ჩინოვნიკები ჩადიოდნენ დანაშაულს — სავარაუდოდ, ან კაცობრიობის წინააღმდეგ, ან იმ დანაშაულებს, რომლებსაც შეიძლება მივანიჭოთ კვალიფიკაცია, როგორც სამხედრო დანაშაულისა. ჩვენი პრობლემა ჩვენ თვითონ უნდა გადავჭრათ, ჩვენი, პროკურორთან ერთად, ამოცანაა — გამოვიკვლიოთ საქმე 2008 წლის ომის შესახებ“, — განაცხადა 10 აპრილს უწყების ხელმძღვანელმა თეა წულუკიანმა.

დავუმატებთ, რომ წინა დღით ვლადიმერ პუტინმა ნიდერლანდის პრემიერ-მინისტრთან მარკ რიუტესთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ გამართულ პრესკონფერენციაზე გვაცნობა, რომ გასცემს მითითებას გამოიკვლიონ ჰოლანდიელი ჟურნალისტის სტან სტორიმანსის გარდაცვალება 2008 წლის აგვისტოში საქართველოში. „მე არაფერი არ ვიცოდი ამის შესახებ. ჩვენ აუცილებლად დავუბრუნდებით ამას და გამოვიკვლევთ“, — თქვა პუტინმა.

ჰოლანდიელი ტელეოპერატორი სტორიმანსი, რომელიც ამზადებდა რეპორტაჟს ერთ-ერთი ტელე-რადიოკომპანიის ახალი ამბების სამსახურისთვის, დაიღუპა 2008 წლის 12 აგვისტოს გორში. ნიდერლანდელები ამტკიცებენ, რომ ის რუსული საკასეტო ბომბისგან დაიღუპა, გადმოგვცემს „რია-ნოვოსტი“.

მისი კოლეგა, ტელეკომპანიის კორესპონდენტი იეროენ აკერმანსი, 2009 წელს უჩიოდა რუსეთს ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლოში ჭრილობასთან დაკავშირებით, რომელიც მან მიიღო საბრძოლო მოქმედებების დროს საქართველოს ქალაქ გორში.

ოფიციალურად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ანდრეი ნესტერენკო აცხადებდა, რომ ერთმნიშვნელოვანი დასკვნა საბრძოლო მასალის კუთვნილების შესახებ, რომლის ნამსხვრევებითაც, როგორც ჩანს, დაზიანდა ჟურნალისტი, ჰოლანდიელთა მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შეუძლებელია.

რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ ტრაგედია ქართული მხარის მიზეზით წარმოიშვა.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# სერგეი ლავროვი: 2008 წელს სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას არ ვაპირებდით



**„რუსეთს არ ჰქონდა მიზნად დასახული 2008 წლის აგვისტოში სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება“,** — ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გააკეთა.

**„მიზნად, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარება დასახული არ ყოფილა. ამაზე არც არავინ ფიქრობდა. მე მოწმე ვიყავი იმ განხილვებისა, რომლებიც მოსკოვში მიმდინარეობდა. მიზანი იყო ერთი — შეჩერებულიყო სისხლისღვრა. მაგრამ, ამის შემდეგ თბილისიდან რევანშისტული განცხადებები გაისმა, სააკაშვილმა უარი განაცხადა საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტების წინადადებაზე — დაზავებასა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით საერთაშორისო განხილვების დაწყებაზე. ჩვენ მზად ვიყავით სტატუსის განხილვა საერთაშორისო კონტექსტში დაგვეწყო. სააკაშვილმა კი განაცხადა — არავითარი განხილვა“,** — განაცხადა სერგეი ლავროვმა ტელეარხ „RTVI“-სთან საუბარში.

მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაკეთებულმა რევანშისტულმა განცხადებებმა მიიყვანა რუსეთის ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე, რომ დამოუკიდებლობის აღიარების გარდა უსაფრთხოებისა და ამ ხალხების სიცოცხლის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობდა.

**„მე ვერ ვხედავ, რომ ახლო მომავალში გამოჩნდეს ისეთი ქართველი პოლიტიკოსი, რომელიც იტყვის: მორჩა, ჩვენ დავიწყეთ ეს, ჩვენ მართალი არ ვიყავით. ზუსტად ასევე არ იქნება რუსი პოლიტიკოსი, რომელიც იტყვის: მოდით, ყველაფერი თავის წრეზე დავაბრუნოთ. შეუძლებელია ეს მოხდეს. როდესაც ამერიკელები ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმების გაფორმების კონტექსტში გვთავაზობენ ჩავწეროთ იმ საზღვრების პატივისცემა, რომლებიც 2008 წლის აგვისტომდე არსებობდა, ჩვენ ვპასუხობთ, რომ მათ შეუძლიათ ჩვენ არ დაგვეთანხმონ, მაგრამ ეს რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებაა,** — აცხადებს სერგეი ლავროვი.

**შეგახსენებთ, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს, ღამით, რუსეთის ფედერაციამ დაარღვია საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სუვერენული საზღვრები და მის ტერიტორიაზე ცხინვალის რეგიონის მხრიდან, როკის გვირაბის გავლით შემოიჭრა. რუსეთის ფედერაციამ საბრძოლო მოქმედებები დაიწყო ასევე რუსეთის მოსაზღვრე საქართველოს მეორე რეგიონში — აფხაზეთში.**

**რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შედეგად რუსეთის ფედერაციამ საქართველოს ორი რეგიონის — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია მოახდინა და იქ მყოფი სეპარატისტების ე.წ. დამოუკიდებლობა 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარა.**

**დღემდე რუსეთის ფედერაცია უგულვებელყოფს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის, ძალების გაყვანისა და მათ კონფლიქტამდე არსებული დისლოკაციის ადგილზე დაბრუნების ხელშეკრულების შესრულებას, რომელსაც ხელი საქართველოს, საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტებმა მოაწერეს. ამ ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთის ფედერაციამ თავისი სამხედრო ძალა 2008 წლის 7 აგვისტომდე არსებულ პოზიციებზე უნდა დააბრუნოს. ამჟამად, საქართველოს ეს ორი რეგიონი რუსეთის ოკუპაციის ქვეშ იმყოფება.**

ჯი-ეიჩ-ენი

## დედამიწის ზურგზე



**თანამედროვეობის ათი გენიოსიდან ერთ-ერთი, ასტროფიზიკოსი სტივენ ჰოკინგი მოუწოდებს კაცობრიობას „გაიქცეს დედამიწიდან“**

ინვალიდის სარეცელს მიჯაჭვული 71 წლის ჰოკინგი ჩვენს პლანეტას „ნამეტან მყიფედ“ მიიჩნევს. მასზე თუ დარჩება, კაცობრიობა ათას წელსაც ვერ იარსებებს, დარწმუნებულია მეცნიერი. იგი ადრეც გამოთქვამდა აზრს, რომ გადარჩენისთვის საჭიროა „განვშორიშორდეთ კოსმოსში“. ამ დროს მეზობლების ძებნა სამყაროში არ არის საჭირო — როგორც ჩანს, ისინი სასიკვდილოდ სახიფათონი იქნებიან.

* * *

**მზვერავთა სამსახურები დაბნეული არიან: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი რაკეტებით „სახიფათო მანევრებს“ აწარმოებს, და მხიარულად ემზადება „მზის დღისთვის“**

როგორც ჩანს, დახურული ქვეყანა ყველაფერს აკეთებს, რათა შეინარჩუნოს დაძაბულობის გრადუსი, რასაც მიაღწია მეზობლის არაორაზროვანი გაფრთხილებებით და დაშინებებით. ცნობები ერთიმეორის საპირისპიროა: რაკეტები ხან დამუხტულია, ხან არა, შეინიშნება მობილური გასაშვები დანადგარების გადაადგილება. ამ დროს ფხენიანში ჯარისკაცები, რომლებმაც გადადეს ავტომატები გვერდზე, ეხმარებიან კიმ ირ სენის დაბადების დღისთვის მზადებაში. სკოლის მოსწავლეები კი რგავენ მცენარეებსა და ალამაზებენ ქუჩებს.

* * *

**სერბეთში გახსნეს სეიფები იუგოსლავიის ბელადის ნივთებით. იმის შესახებ, თუ რა არის ამ სეიფებში, არაფერი იცოდნენ მრავალი წლის განმავლობაში**



ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ, თუ, კერძოდ, რა არის სეიფებში, რომლებიც დალუქეს იუგოსლავიის ლიდერის გარდაცვალების შემდეგ 1980 წელს, ეს კი შეიძლება იყოს ტიტოს როგორც პირადი ნივთები, ისე სახელმწიფო ქონება. იმის მიზეზი, თუ რატომ დარჩა სეიფები ხელუხლებელი, შეიძლება იყოს რაიმე საიდუმლო, რომლის გამჟღავნებასაც ხელისუფლება არ აპირებდა.

* * *

**ამერიკის სენატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მეთაურად დაამტკიცა ქალი, რომელიც სპორტული ნივთებით ვაჭრობდა**

სალი ჯუელის კანდიდატურას ხმა მისცა 87 კანონმდებელმა, წინააღმდეგი 11 კაცი იყო. ამერიკის შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაშია მიწათსარგებლობის, გეოლოგიური დაზვერვისა და ეროვნული პარკების დაცვის საკითხები. ეს სამინისტრო გამოყოფს მიწის ნაკვეთებს ნავთობის ჭაბურღილების გასაბურღად.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# 7. შეტყუებული და მოტყუებული

28 თებერვალს რომპაპი გადადგა. 30 აპრილს ჰოლანდიის დედოფალი უნდა გადადგეს. თებერვალსა და აპრილს შორის კი მარტია.

მაშინაც მარტი იდგა.

2 მარტი. 3 მარტი.

96 წლის წინათ, 1917 წლის 2 მარტს სამეფო ტახტზე უარი თქვა რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ. მეორე დღეს იგივე გააკეთა ლამის უკვე იმპერატორად გამოცხადებულმა მისმა ძმამ, მიხეილ II-მ.

ნიკოლოზ II ჯერ არასრულწლოვანი ვაჟის, ალექსის სასარგებლოდ გადადგა, რამდენიმე საათის შემდეგ კი, გადაწყვეტილება შეცვალა, შვილს ვერ მოვშორდებიო და მიხეილის სასარგებლოდ გადადგომის მანიფესტს მოაწერა ხელი.

დიდხანს ნიკოლოზის ნებაყოფლობითი გადადგომა საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი იყო, ბოლო წლებში კი ახალი მასალისა და ძველი მასალის ახლებურად გააზრების საფუძველზე მკვლევარები დაეჭვდნენ არათუ გადადგომის ნებაყოფლობით ხასიათში, საერთოდ მის რეალურობაში. მათ შორის არის, მაგალითად, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვლადიმირ ლავროვი. იგი ფიქრობს, რომ გადადგომა რუსეთის დინასტიის მოწინააღმდეგეთა მიერ შეთხზული აქტია, ისე მარჯვედ შეფუთული გაყალბებული დოკუმენტებით, რომ ყველაფერი უაღრესად დამაჯერებელი ჩანს.

რეალურად იყო თუ არ იყო, ყველაფერი თებერვლის დასასრულს და მარტის დასაწყისში მოხდა.

1917 წლის 22 თებერვალს გაურკვეველი დროით დაიხურა პუტილოვის ქარხანა პეტროგრადში და 30 ათასი ადამიანი უმუშევარი დარჩა. ამას ქუჩის არეულობები მოჰყვა. მეორე დღეს ქალაქში 120 ათასი გაფიცული გამოვიდა და მღელვარება ქალაქის ორასზე მეტ საწარმოს გადასწვდა. პეტროგრადი მიტინგებმა და მანიფესტაციებმა მოიცვა. რამდენიმე დღეში ამ ყოველივემ სახიფათო მასშტაბები შეიძინა. შეწყდა გაზეთების გამოსვლა. სამაგიეროდ ქუჩები გაივსო ტრანსპარანტებითა და პროკლამაციებით: „ძირს ომი!“, „ძირს თვითმპყრობელობა!“ პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდალი, გენერალი სერგეი ხაბალოვი სიტუაციას ველარ აკონტროლებდა. იმპერატორის ფავორიტი, მისი ფლაგ-კაპიტანი, ადმირალი კონსტანტინ ნილოვი იმ დღეებში ამბობდა: „ყველას ბოძებზე ჩამოგვკიდებენ. იმისთანა რევოლუციას მივიღებთ, არსად არასდროს რომ არ ყოფილა“. ბოძზე არ ჩამოუკიდიათ, მაგრამ ბოლშევიკებმა ადმირალი ნილოვი 1919-ში დახვრიტეს.

ადმირალი ნილოვი იმპერატორს თავის ბოლო მოგზაურობაში ახლდა. მასთან ერთად მოგილიოვში იმპერატორმა იახლა აგრეთვე: კარის მინისტრი, გრაფი ფრედერიკსი; სასახლის კომენდანტი ვოეიკოვი; ჰოფმარშალი, თავადი დოლგორუკოვი; კონვოის მეთაური, გრაფი გრაბე; სამხედრო-საველე კანცელარიის უფროსი, ამალის გენერალი ნარიშკინი; ფლიგელ-ადიუტანტები მორდვინოვი და ჰერცოგი ლაიხტენბერგელი; ლეიბ-ქირურგი ფიოდოროვი და იმპერატორის მატარებლების ინსპექტორი, ინჟინერი ეჟოვი.

პეტერბურგის ამბები იმპერატორმა მოგილიოვში შეიტყო, რუსეთის არმიის მთავარბანაკში, სადაც იგი თავის ამ თანმხლებ პირებთან ერთად 20 თებერვალს ჩავიდა, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი. ერთი თვის წინ, 20 იანვარს, პეტროგრადში მოკავშირეთა საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა და 1917 წლის სამხედრო კამპანიის მთლიანი გეგმა შემუშავდა.

ნაცვლად იმისა, რომ მთავარსარდალსა და მის გენერლებს ომის ამბებზე ეთათბირათ, ხელმწიფის მოგილიოვში ჩასვლის დღიდან პეტროგრადში მიმდინარე მოვლენების ორომტრიალში ჩაერთვნენ. ომი ნელ-ნელა კი არა, ერთბაშად გადავიდა მეორე პლანზე.

26 თებერვალს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ მიხაილ როძიანკომ მეფეს ასეთი დეპეშა გაუგზავნა:

„მდგომარეობა სერიოზულია. დედაქალაქში ანარქიაა. მთავრობა პარალიზებულია. ტრანსპორტი მთლიანად მოშლილია. იზრდება საზოგადოებრივი უკმაყოფილება. ქუჩებში ისმის უწესრიგო სროლა. ჯარის ნაწილები ერთმანეთს ესვრიან. აუცილებელია, საქვეყნო ნდობით აღჭურვილ პირს ახალი მთავრობის შექმნა დაევალოს. დაყოვნება აღარ შეიძლება. ნებისმიერი დაყოვნება სიკვდილის ტოლფასია. ღმერთს ვევედრები, რომ პასუხისმგებლობა გვირგვინოსანს არ დაეკისროს“.

იმპერატორმა როძიანკოს არაფერი უპასუხა, თუმცა, როგორც ჩანს, მის ერთგულებაში ეჭვი შეეპარა და იმავე დღეს ხელი მოაწერა განკარგულებას დუმის მუშაობაში შესვენების გამოცხადების შესახებ.

დუმა განკარგულებას კი დაემორჩილა, მაგრამ დეპუტატები სახლებში არ წასულან. 27 თებერვალს, დღის მეორე ნახევარში ორად გაყოფილ თავრიზის სასახლეში ძალაუფლების ორი ახალი ორგანო ჩამოყალიბდა: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭო, რომელსაც სათავეში რუსი მენშევიკების ლიდერი ნიკოლოზ ჩხეიძე ჩაუდგა, და უკვე თითქმის დამხობილი ხელისუფლების უშუალო მემკვიდრე — სახელმწიფო დუმის დროებითი კომიტეტი, რომელიც დუმის დათხოვნის შემდეგ შეიქმნა როძიანკოს ხელმძღვანელობით. სხვათა შორის, ნიკოლოზ, იგივე კარლო ჩხეიძე ამ დროებითი კომიტეტის წევრიც იყო.

27 თებერვალსვე, სადილის შემდეგ იმპერატორმა ცალკე გაიხმო სასაუბროდ ცნობილი მებრძოლი გენერალი, გალიციის სამხედრო კამპანიის გმირი ნიკოლაი ივანოვი, რომელმაც 1907 წელს, კრონშტადტის გენერალ-გებურნატორის რანგში, ფაქტობრივად უსისხლოდ დააოკა ამბოხებული ხალხი. როცა იმპერატორი მეინახეებს გამოეთხოვა, გაირკვა, რომ მან ივანოვი პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდლად დანიშნა, დიქტატორის უფლებებით აღჭურვა და გიორგის ჯვრის კავალერთა ბატალიონთან ერთად პეტროგრადში დაუყოვნებლივ წასვლა და წესრიგის აღდგენა დაავალა. თან ჩრდილოეთის ფრონტიდან კავალერისტთა და ინფანტერიის ორ-ორი პოლკის მიშველება აღუთქვა.

ხელმწიფეს ჯერ ვერ გაესიგრძეგანებინა, რა ხდებოდა მისი ქვეყნისა და მის თავს. ეგონა, ივანოვი საქმეს მოაგვარებდა ან ჩრდილოეთის ფრონტის სარდლობა მართლა მიაშველებდა მას ოთხ პოლკს. ამ იმედით გამოვიდა იმპერატორი გუბერნატორის სახლიდან, სადაც მთავარბანაკი იყო განთავსებული, თავის მატარებელში გადაბარგდა და 28 თებერვლის დილის 5 საათზე თავადაც პეტროგრადისაკენ აიღო გეზი.

ივანოვი ფეხს ითრევდა და მოგილიოვის დატოვებას სულაც არ ჩქარობდა. ამასობაში საადმირალოს შენობაში მცირე რაზმით თავშეფარებულმა გენერალმა ხაბალოვმა იარაღი დაყარა აჯანყებულთა წინაშე.

იმპერატორის მარშრუტი კი სმოლენსკის, ლიხოსლავლისა და ტესნოს გავლით ცარსკოესელოსაკენ მიდიოდა. მეორე დღეს ნაშუადღევს, ვიაზმიდან მეუღლეს დეპეშა გაუგზავნა:

*„ფიქრით მუდმივად შენთან ვარ. მშვენიერი ამინდია. იმედია თავს კარგად გრძნობთ. დიდძალი ჯარი გამოიგზავნა ფრონტიდან. გულითადი სალამი. ნიკი“.*

საღამოს, ლიხოსლავში მისი პასუხი მიიღო, რომ ყველანი კარგად ვართო და თავადაც მისწერა:

*„მიხარია, რომ თქვენთან სიმშვიდეა. იმედი მაქვს, ხვალ დილას შინ ვიქნები. გეხვევით შენ და ბავშვებს. გფარავდეთ უფალი. ნიკი“.*

1 მარტის ღამის ორ საათზე ორივე ლიტერიანი მატარებელი — „ა“ — იმპერატორისა და „ბ“ — ამალისა, სადგურ მალაია ვიშერაში გაჩერდა. ცოლ-შვილამდე რაღაც 200-ოდე ვერსი რჩებოდა. აქ გაირკვა, რომ ყველა შემდეგი სადგური აჯანყებულებს ჰქონიათ დაკავებული და შინისაკენ გზა მოჭრილი იყო. იმპერატორი დაარწმუნეს, რომ ფსკოვში



წასულიყო, ჩრდილოეთის ფრონტის შტაბში, სადაც, როგორც უმტკიცებდნენ, ერთგული ჯარები იდგა ფრონტის სარდლის, გენერალ ნიკოლაი რუზსკის მეთაურობით. სინამდვილეში რუზსკი როძიანკოსთან შეთანხმებით მოქმედებდა და იმპერატორის გენერალური შტაბის უფროსთან, გენერალ მიხაილ ალექსეევთან ერთად შეთქმულების მთავარი ფიგურა იყო.

მას შემდეგ, რაც ხელმწიფის მატარებელი უკან გამობრუნდა, იგი შეიძლება არა ტყვე და პატიმარი, მაგრამ შეთქმულთა მძევალი კი ნამდვილად გახდა. აქედან მოყოლებული, იგი რუზსკის მიერ გაფილტრულ ინფორმაციას ღებულობდა და მისგან წასულ ინფორმაციასაც რუზსკი აკონტროლებდა.

ნაშუადღევს იმპერატორი და მისი ამალა სტარაია რუსაში გაჩერდნენ. სადგურზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. როცა იმპერატორი ვაგონის ფანჯარაში გამოჩნდა ხალხმა ქუდები მოიხადა, ბევრმა დაიჩოქა კიდეც და პირჯვრის წერა დაიწყო. ასეთი აღფრთოვანებული დახვედრა სრულიად საპირისპირო იყო იმისა, რაც იმ დროს რეალურად ხდებოდა იმპერატორის თავს ან თუნდაც პეტროგრადში, სადაც მეფის ხელისუფლება ფაქტობრივად აღარ არსებობდა.

სახელმწიფო დუმის დროებითი კომიტეტი დროებით მთავრობად გარდაქმნილიყო, რომელიც ნიკოლოზის ძველი და დაუძინებელი მტრებით იყო სავსე: მილიუკოვი, გუჩკოვი, შულგინი, კერენსკი... ქუჩებში რეალური ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელში იყო. რკინიგზას ახალი მინისტრი თუ კომისარი, ვინმე ბუბლიკოვი აკონტროლებდა. სწორედ მან შეიტყუა იმპერატორი ფსკოვში. მოტყუებით კი სხვებმა მოატყუეს.

როცა იმპერატორის მატარებელი ფსკოვში გაჩერდა, მეფემ თავის ვაგონში გენერალი რუზსკი მიიღო და საფუძვლიანად გამოიკითხა ფრონტისა თუ ზურგის ამბები. ჩრდილოეთის ფრონტის სარდალმა პირდაპირ განუცხადა იმპერატორს, რომ თავსდატეხილი ქაოსისა და ანარქიისაგან დასაღწევი ერთადერთი გზა დუმის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნა იქნებოდა.

ამ დროისთვის გენერალ ალექსეევისა და გენერალ რუზსკის მთავარი ამოცანა იყო, რომ იმპერატორი დათმობების აუცილებლობაში დაერწმუნებინათ.

მართლაც, ალექსეევის მორიგი რჩევის საპასუხოდ, იმპერატორმა როძიანკოს როგორც იქნა, გაუგზავნა დეპეშა და დასტური მისცა დუმის წინაშე პასუხისმგებელი კაბინეტის შექმნაზე, რასაც დაბეჯითებით ითხოვდა როძიანკო სიტუაციის განსამუხტავად. ბოლო ორი დღის მანძილზე ამასვე ითხოვდნენ ხელმწიფისგან მისი ძმა, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდროვიჩი, გენერალი ხაბალოვი, გენერალი ივან ბელიაევი — მომავალში პარაგვაის გენერალური შტაბის უფროსი.

მაგრამ ეს დათმობა, რომელიც ჯერ კიდევ წინა დღეს ალბათ საკმარისზე მეტი იქნებოდა, დაგვიანებული აღმოჩნდა. ისე რომ, რუზსკიმ მეფის დეპეშა არც კი გააგზავნა პეტროგრადში, როძიანკოსთან სატელეფონო საუბრით შემოიფარგლა. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. როძიანკოსა და რუზსკის საუბარში პირველად გაჩნდა სიტყვა „გადადგომა“. როძიანკომ ამ წინადადებით მეფესთან შესახვედრად გამგზავრებაც გადაწყვიტა, მატარებელიც გაამზადებინა, მაგრამ მერე რატომღაც გადაიფიქრა და ეს მისია დეპუტატმა ალექსანდრ გუჩკოვმა იკისრა. მასთან ერთად ფსკოვში გამგზავრების სურვილი გამოთქვა კიდევ ერთმა დეპუტატმა ვასილი შულგინმა, — ხელმწიფის გადადგომა მონარქისტმა უნდა მიიღოსო.

ამ დროს პეტროგრადში დისლოცირებული ჯარი უკვე დროებით მთავრობას ემორჩილება. დიდი მთავარი, მეფის ბიძაშვილი, გვარდიული ეკიპაჟის მეთაური, კონტრ-ადმირალი კირილ ვლადიმიროვიჩი პირადად მიდის სახელმწიფო დუმაში თანამშრომლობის შესახებ მოსალაპარაკებლად. მღელვარება მოსკოვსაც გადასწვდა და მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალს გენერალ იოსებ მროზოვსკის წინადადება მიეცა, დაემორჩილოს დროებით მთავრობას. დააპატიმრეს გენერლები შტორმერი, დობროვოლსკი, ბელიაევი, ვოინოვსკი-კრიგერი, მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ივან გორემიკინი.

ხოლო ფსკოვში რუზსკის შენიშვნაზე, რომ იგი ადრევე უნდა დათანხმებოდა საზოგადო მოღვაწეთაგან მთავრობის ჩამოყალიბებას, იმპერატორს უპასუხია:

*„ჩემთვის და ჩემი ინტერესებისთვის მე არაფერი მინდა, მაგრამ თავს ვერ მივცემ უფლებას, რუსეთის მართვა ხელში ჩავუგდო ხალხს, რომლებსაც ხელისუფლებაში ყოფნით დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ ქვეყნისთვის, ხვალ კი ხელებს დაიბანენ და გადადგებიან. მე პასუხისმგებელი ვარ ღმერთის და რუსეთის წინაშე და რაგინდ მინისტრებმა ზიანი მიაყენონ ქვეყანას, არასოდეს დავიმშვიდებ თავს, რომ ეს ჩემი ბრალი არ არის“.*

ასე იყო თუ ისე, რუზსკიმ დაიყოლია იმპერატორი, ფრონტების სარდლებისთვის ეკითხათ აზრი. ალექსეევმა სწრაფად დააგზავნა დეპეშები, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად და რუსეთის გადასარჩენად აუცილებელი იყო იმპერატორის გადადგომა თავისი ვაჟის სასარგებლოდ. დეპეშის ტექსტი ისე იყო შედგენილი, რომ მისი შინაარსი სხვაგვარი რჩევისთვის სივრცეს არ ტოვებდა. 2 მარტს, ნაშუადღევისთვის ყველა ფრონტიდან მოვიდა სარდალთა პასუხები. ყველა მათგანი იმპერატორს გადადგომას ევედრებოდა. ბრუსილოვიც (სამხრეთის ფრონტი), ევერტიც (დასავლეთის ფრონტი), სახაროვიც (რუმინეთის ფრონტი), თვით ყოფილი მთავარსარდალიც, მეფის ბიძა, დიდი მთავარი ნიკოლაი ნიკოლაევიჩიც (კავკასიის ფრონტი), ვიცე-ადმირალი ნეპენინიც (ბალტიის ფლოტი) უმორჩილესად ევედრებოდნენ იმპერატორს, რუსეთის გადასარჩენად უარი ეთქვა ტახტზე თავისი ვაჟის სასარგებლოდ თავისივე ძმის რეგენტობით. ალექსეევისა და რუზსკის თვალსაზრისი იმთავითვე ნათელი იყო. თუმცა პასუხი არ გაუგზავნია, შავი ზღვის ფლოტის სარდალმა, ადმირალმა კოლჩაკმაც ულაპარაკოდ გაიზიარა მათი პოზიცია.

არც ერთი ფრონტის სარდალს არც ერთი არმიის სახელით არ გამოუთქვამს იმპერატორის ძალაუფლების დაცვის სურვილი. ასე რომ, იმპერატორი მისთვის და მისი ქვეყნისთვის ამ ყველაზე გადამწყვეტ მომენტში არათუ არმიის, გენერლების გარეშეც აღმოჩნდა. დღემდე კამათობენ, რომელი იყო ამ გენერალთაგან მოღალატე, რომელი ერთგული, რომელი მოტყუებული და რომელი გულწრფელად შემცდარი.

ხოლო ის ორიოდე გამოხმაურება, რომელთა ავტორები იმპერატორს ერთგულებას და აჯანყების ჩახშობაში მხარდაჭერას პირდებოდნენ, ალექსეევმა მეფეს დაუმალა. მათ შორის იყო ცარსკოე სელოს ცხენოსანთა გვარდიული კორპუსის უფროსის გენერალ ჰუსეინ ხან-ნახჩევანსკისა და ცხენოსანთა მე-3 კორპუსის უფროსის ფიოდორ კელერის დეპეშები.

1936 წელს ჰელსინგფორსში მცირე ტირაჟით დაიბეჭდა გენერალ ვლადიმირ ვოეიკოვის მემუარების წიგნი „მეფითა და უმეფოდ“. ვოეიკოვი ნიკოლოზ II-ის სასახლის კომენდანტი იყო და საკუთარი თვალით ნახა ყველაფერი, რაც შემდეგ იმპერატორის ნებაყოფლობით გადადგომად მოინათლა. თავის წიგნში იგი საკმაოდ ვრცლად აღწერს იმ ამბებს. ვოეიკოვი არაერთ ეპიზოდში საგანგებოდ უსვამს ხაზს სიტუაციის არაბუნებრიობას და დუმისა თუ სამხედრო გენერალთა შეთანხმებულ მოქმედებას იმპერატორისა და ზოგადად მონარქიის წინააღმდეგ.

ერთგან კი იგი პირდაპირ წერს:

**„ასე რომ, ხელმწიფის ბიძა, დიდი მთავარი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, გენერალ-ადიუტანტები ალექსეევი, რუზსკი, ევერტი, ბრუსილოვი, გენერალი სახაროვი, ადმირალები ნეპენინი და კოლჩაკი აღმოჩნდა ის რვა ადამიანი, რომლებმაც უღალატეს რა მეომრის ღირსებას და ფიცის მოვალეობას, აიძულეს მეფე, უარი ეთქვა ტახტზე: ისინი მიემხრნენ სახელმწიფო დუმის აქტიურ მოღვაწეებს, რომლებიც ჩვენს სამშობლოში არსებული წყობის დასამხობად იბრძოდნენ“.**

თავად ნიკოლოზ II ასე აღწერს თავის დღიურში იმ ამბებს:

*„დილით რუზსკი მოვიდა და როძიანკოსთან აპარატით თავისი უგრძესი საუბრის ტექსტი წამიკითხა. მისი სიტყვებით, სიტუაცია პეტროგრადში ისეთია, რომ დუმის სამინისტროს არაფრის გაკეთება არ შეუძლია, რაკი მას უპირისპირდება სოციალ-დემოკრატიული პარტია მუშათა კომიტეტის სახით. საჭიროა ჩემი გადადგომა. რუზსკიმ ეს საუბარი მთავარბანაკს გადასცა, ალექსეევმა კი — ყველა ფრონტის სარდალს. სამის ნახევარზე ყველას პასუხი მოვიდა. მათი არსი ისაა, რომ სამშობლოს გადასარჩენად და ფრონტზე არმიების სიმშვიდის შესანარჩუნებლად უნდა წავიდე ამ ნაბიჯზე. მთავარბანაკიდან მანიფესტის პროექტიც გამოაგზავნეს“.*

გაეცნო რა ფრონტის სარდალთა და, ამდენად, არმიის პოზიციას, იმპერატორმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა ტახტზე. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იგი მხურვალედ ლოცულობდა სალაშქრო საკუთრხევლის წინ და ღმერთს პატიებას შესთხოვდა იმის გამო, რომ იძულებული გახადეს, გამეფებისას დადებულ ფიცისთვის ეღალატა.

**პაატა ნაცვლიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვიზიტი

# საეტაპო მნიშვნელობისა

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ 4-დღიანი სამუშაო ვიზიტით მყოფი სპორტის საერთაშორისო ექსპერტების — ალან ბრამსტისა (კანადა) და ომარ შლინგემანის (ჰოლანდია) შეხვედრები ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს.**

**უცხოელი სპეციალისტები თბილისში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახლად დაფუძნებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტის მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის და საერთაშორისო ხედვის გაცნობის მიზნით იმყოფებიან.**



ვიზიტის ფარგლებში უკვე გაიმართა შეხვედრა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანთან, სამინისტროს წარმომადგენლებთან და სამინისტროსთან არსებულ მრჩეველთა საბჭოსთან, ასევე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვთან.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში ბრამსტმა და შლინგემანმა ვრცელი მოხსენება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს წარუდგინეს და საკუთარი ხედვა გააცნეს. კონფერენციაზე, რომელსაც ლევან ყიფიანი საკუთარ მოადგილე თამაზ თევზაძესთან ერთად ესწრებოდა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი დოლაბერიძემ დამსწრეთ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება გააცნო, რომლის მიხედვითაც საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოფიციალურად დაფუძნდა.

დოლაბერიძის თქმით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა მთავრობის დადგენილებას (№64, 28.03. 2013) „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნების შესახებ“. დადგენილებას საფუძვლად დაედო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.

დადგენილებაში ვკითხულობთ:

„საქართველოში სასპორტო უმაღლესი განათლების ხელშეწყობისა და ამ მხრივ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მდიდარი ტრადიციების გასაგრძელებლად:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით დაფუძნდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში დაწესებულება) საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

2. დაწესებულების მიზნად განისაზღვროს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება.

3. დაწესებულების სახელმწიფო კონტროლი დაევალოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს“...

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, კანონის შესაბამისად, დაწესებულებას უსასყიდლოდ, არსებობის ვადით გადაეცემა ქ. თბილისში, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. 7-ში (ყოფილი ი. ჭავჭავაძის გამზ. 49) მდებარე უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთები და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

რექტორის არჩევამდე, დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა გურამ ძაგანია, რომელიც აღჭურვილია ხელმძღვანელის ყველა უფლება-მოვალეობით.

როგორც დაწესებულების უმაღლესი თანამდებობის პირი, იგი წარმართავს დაწესებულების საქმიანობას, ამზადებს მას ავტორიზაციის გასავლელად, წარმოადგენს დაწესებულებას სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მოქმედებს დაწესებულების სახელით და ა.შ.

ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.“

შედგა შეხვედრა რაგბის, კალათბურთის, ჭიდაობის, ძიუდოსა და ხელბურთის ფედერაციების ხელმძღვანელ პირებთან, ხოლო მოგვიანებით სპორტის საერთაშორისო ექსპერტებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა უმასპინძლა.

შეხვედრებზე განიხილება თანამედროვე სპორტის უნივერსიტეტის მომავალი ფუნქციონირებისთვის საჭირო და პრიორიტეტული მართვისა და განათლების სისტემის დანერგვის საკითხები.

**ბეჟან დოლიძე**

სეზონიდან სეზონამდე

# ავტოსპორტს სტიმულის ალამაზებს

**ᲐᲮᲐᲚᲘ საავტომობილო სეზონის გამოცხადებამდე გუშინ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ ღონისძიებაზე ავტოსპორტში გასული სეზონის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ.**



სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში ფორმულის, ლეგენდსის, ძარიანი და სამოყვარულო ავტომობილების კლასებში 2012 წლის სეზონის ლაურეატებს საპატიო სიგელები და თასები ხვდათ. საუკეთესო ავტომრბოლებს პრიზები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ტყვიის სროლაში ნინო სალუქვაძემ და რუსთავის ავტოდრომის მესვეურებმა გადასცეს.

რუსთავის ავტოდრომის მფლობელმა და საავტომობილო სპორტული ასოციაციის პრეზიდენტმა შოთა აფხაზავამ კი გასული წლის ყველაზე წარმატებული და ახალგაზრდა მრბოლელი — 17 წლის შაკო ციხელაშვილი გრანდიოზული ჯილდოთი — ფორმულის ბოლიდით დაასაჩუქრა.



ამავდროულად საქართველოს საავტომობილო სპორტის ასოციაციამ მრბოლებსა და მედიის წარმომადგენლებს საქართველოს 2013 წლის ჩემპიონატის კალენდარი წარუდგენა. საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში რუსთავის ავტოდრომზე 14 აპრილს 13 საათზე დაიწყება და ქართული ავტოსპორტის ისტორიაში პირველად ამ ჩემპიონატის 3 გამარჯვებული წლის ბოლოს 3 მანქანით დაჯილდოვდება.

„უდავოა, რომ 2012 წელი საქართველოს ავტოსპორტის ისტორიაში ერთ-ერთი შთამბეჭდავი და ყველაზე წარმატებული იყო. ვამაყობ მიღწევებით და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ავტოსპორტი მაღალ დონეზე და სწრაფად ვითარდება. გასულ წელს დაგვემატა 2 კლასი — ლეგენდსი და ფორმულა ალფა, გვეწვია ძალიან ბევრი უცხოელი მრბოლი, ჩატარდა უამრავი საინტერესო შეჯიბრი, დამონტაჟდა გრანდიოზული ეკრანი და ტრეკზე არსებული 28 კამერის საშუალებით მაყურებელი რბოლის ნებისმიერ მონაკვეთს თვალყურს ონ-ლაინ რეჟიმში ადევნებს. რაც მთავარია, გაუმჯობესდა პირობები სამოყვარულო დონეზეც, ახლა უკვე სავარჯიშო მოედანზე ნებისმიერ მსურველს უტარდება ტრენინგი და ბევრს მოყავს შვილი ან თავად დადის ტრეკზე, რომ გაიწაფოს“, — აცხადებს საავტომობილო სპორტის ასოციაციის პრეზიდენტი შოთა აფხაზავა.

რაც შეეხება ახალ საავტომობილო სეზონს, რომელიც 14 აპრილს გაიხსნება, როგორც რუსთავის ავტოდრომის დირექტორი მევლუდ მელაძე აცხადებს, შტურმი ავტოსპორტის განვითარებაზე წელსაც გაგრძელდება. „გრანდიოზული გეგმები გვაქვს - წელს ავტომოყვარულებს ავტომობილების მოგების შანსი ექნებათ. ერთდროულად 3 მანქანას ვათამაშებთ. ასეთი რამ საქართველოს ავტოსპორტს არ ახსოვს. ეს იქნება სამოყვარულო და პროფესიული რბოლებით, შოუებით, სიურპრიზებით დახუნძლული წელი“ — დასძენს იგი.ახალი სეზონის გამოცხადებამდე გასული წლის შედეგების შეჯამება ქართული ავტოსპორტის მთავარი მოვლენა და ურყევი ტრადიციაა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ეროვნული თასი

# დრამწრე თბილისში



**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ოთხიდან სამ საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩს თბილისმა უმასპინძლა. უნდა ითქვას, რომ მათში მოვლენები ისე განვითარდა, როგორც სათასო ბატალიებს ეკადრება.**

**„დინამო“ — „გურია“ 3:2**
**(პირველი მატჩი — 0:0)**

ბარაქალა მეორელიგელებს! მართლაც, როგორი საქმეა, უკვე მე-8 წუთზე გათამაშების უმთავრეს ფავორიტთან 0:2-ს აგებდე, მაგრამ სამაგალითო ბრძოლისუნარიანობა გამოავლინო და ანგარიში გაათანაბრო — 2:2.

ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთა ბედად, 87-ე წუთზე სტუმართა მეკარე ძაძამიამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა და უკვე აღებული ბურთი უხერხული მოძრაობით საკუთარი კარის ბადეში გაახვია.

**„სიონი“ — „ტორპედო“ 2:0**
**(პირველი მატჩი — 1:3)**

მართალია, ქუთათურებმა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაასვენეს, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აკნინებს ქვემოქართლელთა წარმატების მნიშვნელობას. დაგვეთანხმებით, ჩვენში იშვიათობას წარმოადგენს ორბურთიანი დეფიციტის აღმოფხვრა, მით უმეტეს შედარებით სუსტი კლუბის მიერ.

დავძენთ, რომ უგულავამ მხსნელი მეორე გოლი მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე გაიტანა.

**„ცხინვალი“ — „მეტალურგი“ 1:1**
**(პირველი მატჩი — 0:1)**
**„დილა“ — „ჩიხურა“ 1:2**
**(პირველი მატჩი — 0:3)**

**გიორგი შოთაძე**

ჩემპიონთა ლიგა

# ეს დიდი ოთხეულია

**ᲓᲦᲔᲡ თბილისის დროით 15 საათზე შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში მოეწყობა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტთა კენჭისყრა, რომლის პირდაპირ ტელერეპორტაჟსაც სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“ შემოგვთავაზებს.**

საგულისხმო ფაქტია, რომ ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის მოსაგებად ბრძოლას მხოლოდ პრიმერადივიზიონისა („ბარსელონა“, „რეალი“) და ბუნდესლიგის („ბაიერნი“, „ბორუსია“) წარმომადგენლები განაგრძობენ, თანაც კატალონიური გრანდი ზედიზედ მეექვსედ(!) მოხვდა საუკეთესოთა კვარტეტში.



**„ბარსელონა“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 1:1**
**(პირველი მატჩი — 2:2)**

ტყუილად როდი განხორციელებულა უზარმაზარი ინვესტიცია სენის ნაპირებზე. განთქმულმა ტაქტიკოსმა კარლო ანჩელოტიმ ისეთი ანსამბლი შექმნა, რომელიც ორივე შეხვედრაში ტოლ-სწორად გაუმკლავდა უმთავრეს ფავორიტს. ის კი არა, რომ არა მესის გენია, ფრანგებს ღირსეულად მიჰყავდათ საქმე ტრიუმფამდე.

დიახ, მას შემდეგ, რაც 50-ე წუთზე იბრაჰიმოვიჩის გამჭოლი გადაცემით პასტორემ ანგარიში გახსნა, ტიტო ვილანოვა იძულებული გახდა სარბიელზე ჯერაც ბოლომდე მოუშუშებელი არგენტინელი ჯოკერი გამოეყვანა.

სწორედ მან წამოიწყო ის კომბინაცია, რომელიც ვილამ გააგრძელა და პედრომ „ცაციათი“ აუღებელი დარტყმით დააგვირგვინა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თუ „ბროწეულისფერთა“ დაცვაში არსებული მოშიშვლებული ზონები არ ამოივსო, მომავალ მატჩებში „კამპ ნოუს“ ბინადრებს კიდევ უფრო გაუჭირდებათ საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილება.

**„იუვენტუსი“ — „ბაიერნი“ 0:2**
**(პირველი მატჩი — 0:2).**
**გოლები:** მანჯუკიჩი, პიზარო.

**მანუჩარ გიორგაძე**

კალათბურთი

# ბრძოლის ძირი მწარე არის...

**ᲔᲕᲠᲝᲚᲘᲒᲘᲡ პლეი-ოფების სტარტზე გამარჯვებები ფავორიტებმა მოიპოვეს, მაგრამ საამისოდ „ბარსელონას“ განსაკუთრებული ძალისხმევა დასჭირდა.**

კატალონიელებს წარმატება ნავარომ დამატებითი დროის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ჩაგდებული სამქულიანით მოუტანა — 72:70 (ძირითადი დრო — 64:64).




დარჩენილი წუთები ნერვების ომად გადაიქცა, სადაც „პანათინაიკოსმა“ ვერ მოახერხა მასპინძელთა დასჯა ზედიზედ გაცუდებული ერთბაშად 5 საჯარიმოსთვის (სადა — 2, ტომიჩი — 3).

**აღსანიშნავია, რომ სტუმრებს დანარჩენი მეოთხედფინალური წყვილების პირველ ბრძოლებშიც მოეცარათ ხელი:** „რეალი“ — „მაკაბი“ 79:53, ცსკა — „კახა ლაბორალი“ 89:78, „ოლიმპიაკოსი“ — „ეფეს პილსენი“ 67:62.

**შეგახსენებთ, რომ ოთხთა ფინალში გასასვლელად ამ სერიაში სამი შეხვედრის მოგებაა საჭირო.**

**ვიტალი ჯაფარიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## SOS!

**ანთროპოგენური მოღვაწეობა წლიდან წლამდე გარემოსთვის სულ უფრო მეტ საფრთხეს ჰქმნის, რაც ახლო პერსპექტივაშიც კი, შორეულზე არაფერი რომ ვთქვათ, კაცობრიობას უამრავ საფრთხეს უქმნის. ამ თემაზე ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება, უამრავი საგანგაშო ფაქტის მოყვანა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საყოფაცხოვრებო და მყარი საწარმოო ნარჩენების გარემოში დაგროვების, გაბნევისა და მავნე ზემოქმედების ზოგიერთ ასპექტს განვიხილავთ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ.აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელთან, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორთან ომარ წიკლაურთან ერთად.**

— საქმის კურსში რომ ჩაგაყენოთ, გეტყვით, რომ აღნიშნული საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია და იმდენად დიდი საფრთხის შემცველი, რომ მის თაობაზე წერილი საქართველოს მთავრობის პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილსაც კი მივწერე, — ამბობს ბატონი ომარ წიკლაური. — საკითხის არსი კი შემდეგია: სარწმუნო ინფორმაციით, **საქართველოში მეორადი ნედლეულის (მათ შორის ტოქსიკურის) საუტილიზაციო დიდ საწარმოთა მშენებლობაა დაწყებული, რის სახსრებსაც უცხოელი ინვესტორების მიერ დაფინანსებული ფირმები გაიღებენ. იმის გათვალისწინებით კი, რომ საქართველოში შესაბამისი რაოდენობის ზოგიერთი სახეობის მეორადი ნედლეული არ მოგვეპოვება, ფაქტობრივად, ეჭვი არ არის, რომ მავანთ ჩაფიქრებული აქვთ მისი საზღვარგარეთიდან იმპორტირება, რაც, არსებითად, ქვეყნის ტოქსიკურ ნარჩენთა სანაგვედ და გადამუშავების „საქმიან ეზოდ“ აქცევს.**

— უნდა ითქვას, რომ ამორტიზებული მანქანის ტყვიის აკუმულატორების უტილიზაციის პრობლემა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში მას შემდეგ წარმოიშვა, რაც სსრ კავშირი დაიშალა და ყველა რესპუბლიკა ამ საკითხის გადაჭრის აუცილებლობის წინაშე ცალ-ცალკე აღმოჩნდა, — განაგრძობს საუბარს სწავლული ქიმიკოსი. — 1991 წლიდან მოყოლებული მყარი ნარჩენების უტილიზაციის პრობლემაზე ვმუშაობ, რაც იმან განაპირობა, რომ მეორადი ნედლეულის, მათ შორის ძვირფასი ლითონების ოდენობა ქვეყანაში საკმაოდ დიდი იყო (ვთქვათ, საკონტაქტო აპარატებში, სხვადასხვა დანიშნულების ხელსაწყო-დანადგარებში). მაშინ ჩვენ დავაყენეთ მთელი ამ პროცესის (კერძოდ, ფერადი და სტრატეგიული ლითონების წარმოების) ერთიანად გაკონტროლების აუცილებლობის საკითხი. ამ კონტროლს შავი ლითონების წარმოებაც უნდა დაქვემდებარებოდა და შერეული (სახელმწიფო და კერძო) კონცერნის ფუნქცია, სხვა საკითხებთან ერთად, ნახმარი სამანქანო აკუმულატორების უტილიზაციაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს საკითხი ჰაერში გამოკიდებული დარჩა 1992 წლის ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო.

ზოგადად თუ ვიტყვით, **ტოქსიკურობის ხარისხით ნივთიერებები I, II და III კატეგორიებად იყოფა. I კლასის ყველაზე ტოქსიკურ ნივთიერებათა შორის მე-3 „საპატიო“ ადგილი სწორედ ტყვიას უკავია. ერთ კუბურ მეტრ ჰაერში ტყვიის ზღვრული დასაშვები მნიშვნელობა 10 გრამია.** ტყვია ერთ-ერთი ყველაზე „ვერაგი“ ტოქსიკური ლითონია: მას კაცი უცბად დიდი დოზით თუ არ მიიღებს, იგი სწრაფ ინტოქსიკაციას არ ავლენს, ორგანიზმში გროვდება და, რაც ყველაზე მეტად საშიშია, **იგი შთამომავლობას გენეტიკურად გადაეცემა და მისმა მავნე ზეგავლენამ შესაძლოა მეოთხე თაობას „დაარტყას“!** სწორედ ტყვიით ინტოქსიკაცია ხდება ხშირად დაუნის ავადმყოფობის მიზეზი.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ხალხს დიდად გაუჭირდა, სიდუხჭირეში მყოფმა ადამიანებმა მეორადი ტყვიის კუსტარული ღუმელების გაკეთება დაიწყო. წარმოების პროცესში ტყვია ორთქლდებოდა და მაშინ რამდენი კაცი მოიწამლა, არავინ იცის.

ბატონ ომარ წიკლაურის თქმით, ამჟამად ვითარება ისეთი საგანგაშო არ არის, თუმცა შიგადაშიგ კუსტარული საამქროები ალბათ მაინც მუშაობენ.

— პრობლემის სერიოზულობა და მასშტაბები რომ წარმოიდგინოთ, გეტყვით, რომ **ამერიკის შეერთებულ შტატებში საგანგებო ფედერალური სამსახურია შექმნილი, რომელიც ამორტიზებული საავტომობილო აკუმულატორების შეგროვებას, ტრანსპორტირებასა და უტილიზაციას უმკაცრეს კონტროლს უწევს!**

ამ თემას, რომ იტყვიან, არ ვეშვებოდი და 2003 წლის გაზაფხულზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში „ბიუროკრატიული კარუსელის“, რომ იტყვიან, მეორე წრეზე ვიყავი წასული. იმხანად ეკონომიკის სამინისტროში საინვესტიციო სააგენტო იყო, სადაც სამამულო ტექნოლოგიით (ნახმარი) აკუმულატორების უტილიზაციის პროცესის დაფინანსებაზე მოველაპარაკე, მაგრამ შემოდგომაზე ვარდების რევოლუციის „ქარიშხალი“ ამოვარდა და საქმე ისევ გადაიდო.

# ტოქსიკურ ნარჩენთა გადამუშავების „საქმიანი ეზო“ თუ სანაგვე?



## ევროპელები თავიანთ ფილტვებს უფრთხილდებიან, ჩვენ კი...

არის ერთი მტკივნეული საკითხი, რომელიც, სამწუხაროდ, მთავრობაში არ ესმით: რამდენადაც ცნობილია, ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ **ევროკავშირი მყარი და ტოქსიკური ნარჩენების მართვის პროგრამის დაფინანსებას აპირებს, რომელიც, ალბათ მათ უტილიზაციას, მონიტორინგსაც და პროფილაქტიკასაც ითვალისწინებს. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ახალი მთავრობისთვის შესაბამის პროგრამას რომ ამზადებდნენ, ეკოლოგიურ ბლოკში, სამწუხაროდ, არც ერთი ინჟინერ-ქიმიკოსი არ ყოფილა ჩართული (?!).** ცოდნას კი არავის ვუწუნებ, თუმცა აქაც შეიძლება იკამათოს კაცმა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ პროფესიონალთა შერჩევის მთავარი კრიტერიუმი... ინგლისური ენის ცოდნა იყო, და, ამდენად, ეკოლოგიურ ბლოკში ის პირები ჩართეს, რომლებიც კომპიუტერიდან ქაჩავენ ინფორმაციას, თუ რა უნდა უყონ მყარ ნარჩენებს. არადა, სწორედ ამ მიმართულებით, ასევე პლასტმასის ნარჩენის უტილიზაციის მხრივ გვაქვს სამამულო ნოუ-ჰაუები, მაგრამ ისინი არავის აინტერესებს...

**— უბედურება ისაა, რომ ჩვენი ინფორმაციით სამტრედიაში წელიწადში 12 ათასი ტონა ტყვიის წარმადობის ნახმარი საავტომობილო აკუმულატორების საუტილიზაციო ქარხანა შენდება. ის ტექნოლოგია კი, რომლითაც ამჟამად მშენებარე ქარხანამ უნდა იმუშაოს, ევროკავშირის ქვეყნებში უკვე დიდი ხანია გამოსაყენებლად აკრძალულია.** ამ ტექნოლოგიას აღარც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში იყენებენ. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ მთლიანად კავკასია ერთიან ეკოსისტემას წარმოადგენს, რომელზეც ამ ოდენობის ტყვიის ნარჩენთა ზემოქმედება დამღუპველი იქნება. **ჩვენში (ისევე, როგორც აზერბაიჯანსა და სომხეთში) მცირეტონაჟიანი წარმოებები (წელიწადში ათას ტონა ტყვიის წარმადობის) უნდა მუშაობდნენ, რომელთა ეკოლოგიური კონტროლი ადვილია.** ელემენტარული გათვლები მოწმობს: აკუმულატორებიდან 12 ათასი ტონა ტყვიის ამოსაღებად მილიონ 200 ათასი ცალი მეორადი აკუმულატორია საჭირო. აკუმულატორში ტყვიის წონა 8-15 კილოგრამია, ამიტომ საშუალოდ 10 კილოგრამი ავიღოთ. აქედან მარტივი არითმეტიკული გათვლებით გამოდის, რომ **სამტრედიაში მშენებარე ქარხნის უზრუნველსაყოფად საქართველოში სულ მცირე 4 მილიონი ავტომანქანა უნდა იყოს, რაც, ბუნებრივია, არარეალურია. აქედან გამომდინარეობს ბუნებრივი დასკვნა: ჩვენი „სპეცები“ მეორადი ნედლეულის შემოტანას ან კავკასიის რეგიონიდან, ან, რაც უფრო სავარაუდოა, ევროკავშირის ქვეყნებიდან აპირებენ. თან ხრიკის არსი ისიცაა, რომ ევროკავშირიდან თავიანთ ფულს საკუთარი ექსპერტებიც „მოაყოლეს“, რომელთა დასკვნები — ისევ საქართველოს ბუნებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე — ჩვენთვის მიუღებელია.** ხოლო თუ რატომ, ამასაც ვიტყვი: რამდენიმე წლის წინათ საქართველოში ევროკავშირიდან უკვე მოდიოდა 300 მილიონი ევროს მოცულობის ინვესტიცია... ევროპიდან შემოტანილი საავტომობილო საბურავების გადამამუშავებელი ქარხნის ასაშენებლად, რადგან ევროპაში ამ ტიპის ტექნოლოგიური პროცესები კანონმდებლობითაა აკრძალული. გამოდის, რომ ევროპელები საკუთარ ფილტვებს უფრთხილდებიან, დიდტონაჟიანი საუტილიზაციო ქარხნები დიდი ეკოლოგიურ პრობლემებს წარმოშობენო. მაგალითისთვის შეიძლება ითქვას, რომ **რუსეთისთვის დაამუშავეს წელიწადში არაუმეტეს 3 ათასი ტონის წარმადობის ტექნოლოგია. ჩვენ კი 12 ათას ტონიანზე „ვიქაჩებით“!** ერთი რუკას დახედეთ და საქართველო და რუსეთი შეადარეთ!

წელანდელ არითმეტიკულ ანგარიშს რომ დავუბრუნდე, ვიტყვი, 12 ათასი ტონა ტყვიის მისაღებად 17 ათასი კილოგრამის წონის აკუმულატორია საჭირო, მაგრამ ახლა აკუმულატორების მჟავისგან დაცლის საკითხიც ვნახოთ: მას ხომ დიდი ოდენობით ტყვიის ფრაქციაც მოყვება, თანაც გინახავთ, ვინმე აკუმულატორის მჟავას ფილტრავდეს? მარტო თბილისში მანქანების რიცხოვნობაზე რომ გადავამრავლოთ, წელიწადში 200 ტონა ტყვიის ფრაქციის შემცველი მჟავა იღვრება! ახლა ევროკავშირის ქვეყნებიდან კიდევ თავიანთს რომ დაგიმატებენ... იქ როტაციული დიდტონაჟიანი ღუმელები დაშალეს, რომელთაგან თითოეული წელიწადში ორი ათას ტონა წიდას ტოვებს ტყვიის 10-პროცენტიანი შემცველობით!.. ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ **ჩვენი „სამამულო გენიოსები“ ამ წიდის დაფქვას, ცემენტში შერევასა და ამ „თერმობირთვული ნარევიდან“ სამშენებლო ბლოკების წარმოებას აპირებენ(?!).**

ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ეს ამბავი უკვე სცილდება ქიმიკოსი მეცნიერის კომპეტენციას და იურისდიქციის სფეროში ინაცვლებს: ამ ოდენობის წიდიდან 10 წლის განმვალობაში 5-6 მილიონი ბლოკი მაინც დამზადდება და რამდენი ხალხი დასნეულდება, წარმოიდგინეთ... არის კიდევ ტყვიის ორთქლის პრობლემა. ამასთანავე 1200 გრადუსზე დამუშავებისას გამოიყოფა ნახშირორჟანგი, გოგირდჟანგბადი, გოგირდწყალბადი და ამ მომწამლავ გაზებს ჰაერში ვერაფერი დაიჭერს.

ბოლოს მინდა ვთქვა, რომ **პრობლემის გადასაჭრელად აუცილებლად უნდა შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო ბაზა, რომლის საფუძველზე საქართველოში აიკრძალება ტოქსიკური ინგრედიენტების შემცველი ნედლეულის გადამუშავება მსხვილტონაჟიანი წარმოებებით, ქვეყანაში უნდა შეიქმნას ეკოლოგიური უსაფრთხოების ცენტრი, რომელიც თავად მოუყრის თავს პროცესის მონიტორინგს დაამუშავებს პრევენციისა და პროფილაქტიკის მეთოდებს, უტილიზაციის ინოვაციურ ტექნოლოგიებს, ხოლო მისი დასკვნა კანონი უნდა იყოს როგორც ლიცენზიის გამცემი სტრუქტურისთვის, ასევე თავად ლიცენზიანტისთვის, თანაც მთელი პროცესის ყველა უმნიშვნელოვანესი ეტაპი ქართველ ექსპერტთა მეთვალყურეობით უნდა წარიმართოს.**

**ოთარ ტურაბელიძე**

## ალიან-ჩალიანი

### წითელას ვაქცინის შეძენაში აშშ დაგვეხმარება

**ამერიკის** შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტი საქართველოს წითელას 75 000 ერთეული ვაქცინის შესაძენ თანხას გამოუყოფს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ აშშ-ის საელჩოდან აცნობეს, ამის შესახებ განცხადება აშშ-ის ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა გააკეთა. მისი განმარტებით, გადაწყვეტილება ამერიკამ საქართველოში წითელას შემთხვევების გამრავლებასთან დაკავშირებით მიიღო.

— შემოწირულობა ხორციელდება საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს თხოვნის საპასუხოდ, რათა საქართველომ თავიდან აიცილოს წითელას გავრცელება. წელს საქართველოში წითელას 700-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. 2012 წელს ავადმყოფობის მხოლოდ 32 შემთხვევა იყო აღრიცხული. 179 პაციენტი საავადმყოფოში მოათავსეს. გავრცელებული ინფორმაციით, ორი ავადმყოფი გარდაიცვალა, მათ შორის 11 თვის გოგონა, — აცხადებენ აშშ-ის საელჩოში.

ვაქცინების შეძენის პროცესს გაეროს ბავშვთა ფონდი უხელმძღვანელებს, ხოლო განაწილებას საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრი უზრუნველყოფს.

### ავტოავარია რიზეში

**თურქეთში**, ქალაქ რიზეში საქართველოს მოქალაქეები ავტოავარიაში მოყვნენ. მსუბუქი ავტომანქანა სერიით LEO-105, რომელსაც 33 წლის ქართველი ლ. გ. მართავდა, გვირაბიდან გამოსვლისას სატვირთო მანქანას დაეჯახა.

სატვირთო მანქანას თურქეთის მოქალაქე მართავდა. შემთხვევის შედეგად ორივე მძღოლმა სხეულის სხვადასხვა დაზიანება მიიღო.

ავტოავარიის შედეგად ასევე დაშავდნენ ავტომანქანებში მყოფი მგზავრები, მათ შორის ორი ქართველია. ისინი თურქეთის სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა რიზეს საავადმყოფოში გადაიყვანა.

საქართველოს მოქალაქეები მკურნალობას ამ დრომდე გადიან, როგორც მედიკოსები ამბობენ, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და მდგომარეობა სტაბილურია.

მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ავტოსაგზაო შემთხვევა სავარაუდოდ ქართველი მძღოლის მიზეზით მოხდა, რომელმაც გზაზე მოცურების გამო საჭე ვერ დაიმორჩილა.

### გატაცებული გოგიტა ღურწკაიას ცხედარი აფხაზეთის ტერიტორიაზე იპოვეს

**ზუგდიდის** რაიონის სოფელ ჭკადუაშიდან გატაცებული მამაკაცის ცხედარი აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იპოვეს. გალის რაიონის სოფელ ნაბაკევთან ახლოს აღმოჩენილი ცხედარი ზუგდიდის რაიონში გადმოასვენეს. ის ოჯახის წევრებმა უკვე ამოიცნეს და დადასტურდა, რომ გარდაცვლილი ახალგაზრდა გოგიტა ღურწკაიაა. ცხედრის გადმოცემასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აფხაზურ მხარესთან სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობა აწარმოებდა. პროცესში ჩართული იყო ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლობაც.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაში მცხოვრები გოგიტა ღურწკაია საკუთარი სახლიდან 21 მარტს დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს. გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით გარემოებები და დამატებითი დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

**ინტერპრესი**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე 2005-2006 წლებში**

**ზურაბ დანელია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## იურიდიული კონსულტაცია

### რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

**კითხვა: ვმუშაობ შპს-ში იურისტად, ეს ჩემი პირველი სამსახურია, ამიტომ გთხოვთ, დამეხმაროთ და განმიმარტოთ, რა შეიძლება განისაზღვროს შრომის შინაგანაწესით?**

**გია მინაშვილი**

**პასუხი:** შრომის შინაგანაწესით შეიძლება განისაზღვროს სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას — ცვლის ხანგრძლივობა, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და ადგილი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ რომელი ხელფასიდან განისაზღვრება დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება?**

**მაია გიორგაძე**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ხელფასიდან.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, გვაცნობოთ უთანაბრდება თუ არა შრომის ხელშეკრულებას საწარმოს ხელმძღვანელის ნებართვა პირის სამუშაოზე მიღების შესახებ?**

**ნორა ტუღუში**

**პასუხი:** მუშაობის დაწყების მსურველი პირის წერილობითი განცხადება და აღნიშნულის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების შესახებ, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

**ტელ: 595 05-11-77**

## დაიჯესტი

### ომი შაქრიან დიაბეტს



**მეცნიერებმა ხელოვნური კუჭქვეშა ჯირკვალი შეიმუშავეს. ამ ორგანოს მუშაობის იმიტატორი სამედიცინო მოწყობილობა ბაზარზე შესაძლოა 2016 წელს გამოჩნდეს.** გამოსაცდელი სამუშაოები ავსტრალიაში უკვე წარმატებით ჩატარდა. ხელსაწყო პაციენტებისთვის საჭირო ინსულინის დოზას თავად განსაზღვრავს. საცდელი სამუშაოების მსვლელობისას, პაციენტების 90 პროცენტს სისხლში შაქრის ოპტიმალური დონე აღენიშნებოდა.

### საუზმე და... ინტელექტი

**პენსილვანიის უნივერსიტეტის მეცნიერთა გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვის ინტელექტი... საკვებზე ყოფილა დამოკიდებული.**

მკვლევართა განცხადებით, გამოირკვა, რომ იმ ბავშვებს, ვინც ყოველ დილით რეგულარულად საუზმობს, იმათზე გაცილებით მაღალი ინტელექტის დონე აქვთ, ვიდრე მათ, ვინც სკოლაში უჭმელი მიდის. 1300 მოსწავლის გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ იმ ბავშვებს, ვინც რეგულარულად არ იკვებება, შრომისუნარიანობა უფრო დაბალი აქვთ.



### დიდება სიზარმაცეს!

**ცხოვრების უდარდელი წესის პროპაგანდას, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ხალხური ზღაპრებიც ეწევიან — ამაში დასარწმუნებლად მარტო კომბლეს გახსენება კმარა. იქნებ, სიზარმაცე არც ისეთი უარყოფითი თვისებაა, როგორც ეს გვგონია?**

— უსაქმურობა სარგებლის მომტანია არა მარტო ჯანმრთელობისთვის, არამედ, თურმე... კარიერისთვისაც, — აცხადებს გერმანიის ფულდის სახელობის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორი პეტერ აკსტი. — როცა ვზარმაცობთ, ჩვენ ძალასა და ენერგიას ვაგროვებთ.

მეცნიერის თქმით, ხალხი, რომელიც მარადიული ძრავის რეჟიმში მუშაობს, საკუთარი ბიორიტმების ბუნებრივ მიმდინარეობას არღვევს. ის კი ისეთია, რომ დღის მანძილზე ორგანიზმი ყოველ ორ საათში ისვენებს. ამ დროს ადამიანს უნელდება რეალობის აღქმა და სწორედ ამ დროს უნდა დაისვენოს. თუკი ამას არ გავითვალისწინებთ, გადაღლა, ჭარბი დატვირთვა გარანტირებული გვაქვს, რასაც გადაღლის ახალი ულუფა მოყვება. სიზარმაცის ფაზები — ესაა სამუშაო რეჟიმის შეცვლა, რომლებიც ორგანიზმს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას აძლევენ.




მეორე მკვლევარი, ფრანგი ფსიქოლოგი მაიერ კორინი კი მიიჩნევს, რომ სიზარმაცე — ესაა მომზადება დავალების წარმატებით შესასრულებლად.

— დავალების მიღებისას ზოგიერთნი დიდ ხანს ფიქრობენ მისი სწრაფად და ხარისხიანად შესრულებაზე, — ამბობს დოქტორი კორინი, — გარშემო მყოფებს კი ჰგონიათ, რომ კაცი უსაქმურობს. მაგრამ როცა დრო დგება, კაცი საქმეს ხარისხიანად აკეთებს. ზოგჯერ კი სიზარმაცე — ესაა აზრს მოკლებული სამუშაოს წინათგრძნობა, ინტუიციური სიზარმაცე, რომელიც დროს გვიზოგავს.

ისე კი, ალბათ, უინტერესო არ იქნება შეგახსენოთ, რომ ზარმაცი კაცის სახელი ჰქონდათ დარვინს, ჩერჩილს, მარქსს, აინშტაინს, ნიუტონს, არქიმედეს, პიკასოს, მენდელეევს...

### გონიერი რისკის ფასი



**ბევრი უშიშარი კაცია ქვეყანაზე, ვინც ათასნაირ ფათერაკს თავისით დაეძებს, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა საფრთხეს თავს არიდებს, სავსებით სამართლიანადაც. მაგრამ ახლახან კლივლენდის (აშშ) სამედიცინო ცენტრის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ აბსოლუტური სიმშვიდე ადამიანს... ვნებს.**

ადამიანის ორგანიზმს მუდმივად სჭირდება ადრენალინით შინაგანი ბიოლოგიური კვება, რომელიც სისხლში მხოლოდ საფრთხისა და მღელვარების დროს გაიფრქვევა.

ადრენალინი აძლიერებს მიმოცვლითი პროცესების ინტენსივობას, აუმჯობესებს თავის ტვინის კვებას და აძლიერებს ინფექციებისადმი მის მდგრადობას. ამ ნივთიერების ნაკლებობა კი სიცოცხლის ხანგრძლივობას ამცირებს.

ფაქტობრივად, გამოდის, რომ თუ კაცი გონიერ რისკს გასწევს, თავისუფლად შეუძლია ას წლამდე მხნე და ჯანმრთელი იყოს.

### არსებობის უფლება ყველას აქვს



**გერმანელმა მეცნიერებმა ტესტი შეიმუშავეს, რომლის მეშვეობით დაუნის ავადმყოფობის სინდრომის აღმოჩენა ორსულობის პირველსავე ტრიმესტრშია შესაძლებელი.**

მაგრამ ვერ მოასწრეს ექიმებმა დიაგნოსტიკის ახალი უსაფრთხო მეთოდის შექმნით გახარება, რომ საკმაოდ ძლიერი დარტყმა მიიღეს, თანაც სრულიად მოულოდნელი მხრიდან. დაუნის სინდრომით ადამიანთა დამცველმა საერთაშორისო ფედერაციამ სამედიცინო ცენტრის მიმართ ევროპის სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლის დასაბუთება იმაში მდგომარეობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფ ადამიანებსაც აქვთ არსებობის უფლება და ტესტის აკრძალვა მოითხოვა.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### ალასანია, ხმალაძე, ახვლედიანი თუ ბურჭულაძე — ვინ იქნება „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი?

ივანიშვილი პირობას დებს, რომ „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო კანდიდატს მაისის ბოლომდე დაასახელებს და ეს, პრინციპში, არც არის გასაკვირი, რადგან ოქტომბერში ჩასატარებელი არჩევნებისთვის კანდიდატის 4 თვით ადრე დასახელება სრულიად ნორმალურია, თუმცა, „რეზონანსის“ ინფორმაციით, კანდიდატებზე მსჯელობა უკვე მიმდინარეობს და მათ რიცხვს პაატა ბურჭულაძეც დაემატა, თუმცა ამ ინფორმაციის გადამოწმება ჯერჯერობით ვერ ხერხდება... მაშ, ირაკლი ალასანია, ვახტანგ ხმალაძე, პოლიტოლოგი არმაზ ახვლედიანი და პაატა ბურჭულაძე.

**„რეზონანსი“**

### რატომ გადაიდო 14 აპრილს დაგეგმილი აქცია?!

ყოფილი პოლიტპატიმრების მიერ 14 აპრილს „რეჟიმის გასამართლების მოთხოვნით“ სპორტის სასახლეში დაგეგმილი აქცია გადაიდო.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ — თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე ამბობს: „სპორტის სასახლის გარეთ დასაყენებელ აპარატურას ვერ ვშოულობთ, შესაბამისად, დავიწყეთ იმ ადგილის ძებნა, რომელიც უფრო მეტ ხალხს დაიტევს. აქციის გადადების მეორე მიზეზი გახლავთ ის, რომ ვრცელდება ინფორმაცია შესაძლო პროვოკაციასთან დაკავშირებით. ამიტომ 14 აპრილის ნაცვლად, აქცია ჩატარდება 21 აპრილს სპორტის სასახლეში.

**„ალია“**

### რა შანსები აქვს ვალერი ხაბურძანიას?

ხაბურძანია ერთ-ერთი იმათგანია, ვინც არ მალავს პოლიტიკურ სიმპათიებს რუსეთისადმი. ჯერ გამოკვეთილი არ არის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს თუ არა ის მონაწილეობას. ხაბურძანიას უცნაური განცხადებები მიუღებელია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის და გამარჯვების შანსი მას არა მარტო საპრეზიდენტო, არამედ სხვა სახის არჩევნებშიც, სავარაუდოდ, არ ექნება.

**„ახალი თაობა“**

## ინფორმაცია

### ცხედარი კორპუსის სარდაფში იპოვეს

**ქუთაისში, ვარლამიშვილის ქუჩაზე მდებარე კორპუსის სარდაფში ცხედარი იპოვეს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ რეგიონული კორესპონდენტი იუწყება, გარდაცვლილის ვინაობის შესახებ ჯერ ინფორმაცია არ ვრცელდება.**

**შემთხვევის ადგილზე მობილიზებული არიან სამართალდამცავები. მომხდარის გარემოებები ამ დროისთვის უცნობია. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, სამართალდამცავები მკვლელობის ვერსიაზე მუშაობენ, რადგან ცხედარს მრავლობითი ჭრილობა აღენიშნება.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**რატომ** გავცილდი ცოლს? სხვა მინდოდა, მას კი სხვა არ ჰქონდა.

* * *

**ჭკვიანი** სათვალეები, ჭკვიანი საათი, ჭკვიანი ტელეფონი, ჭკვიანი ტელევიზორი...

გარშემო ყველაფერი ჭკვიანია...

ადამიანებს გარდა, სამწუხაროდ...



**ის** სამი დღე და ღამე განუწყვეტლივ სვამდა, სანამ არ მოესმა: „გილოცავთ, ბატონო დეპარდიე, თქვენ ჩააბარეთ რუსეთის მოქალაქეობის მიღებისთვის საჭირო ტესტი“.

* * *

**ძვირფასო** მშობლებო, მიაჩვიეთ თქვენი შვილები მარცხენა ხელით ჭამას.

მერე, კომპიუტერს მიჯაჭვულნი, ამისთვის მადლობას გეტყვიან.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com